პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გამოცემის 30-ე წელი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР)

ხუთშაბათი
19 იანვარი
1950 წ.
№ 14 (8574)
ფასი 20 კაპ.

# ჩვენი დიდი საბჭოთა სამშობლოს ახალი მძლავრი აღმავლობა

დიდი და შემოქმედებითი, ისტორიის ბედის გადამწყვეტი შრომა უწოდა ამხანაგმა სტალინმა მილიონობით საბჭოთა ადამიანის შრომას. ამ შემოქმედებითი შრომის უდიდესი ძალა განსაკუთრებით მკაფიოდ მჟღავნდება ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ჩვენს გმირულ დღეებში. ლენინ-სტალინის პარტია აღაფრთოვანებს საბჭოთა ხალხს ახალ-ახალი შრომითი გმირობისათვის, ერთი მიზნისაკენ — კომუნისტური საზოგადოების აშენებისაკენ წარმართავს მთელ მის ძალღონეს.

როცა ჩვენი ქვეყანა ომისშემდგომი ხუთწლედის განხორციელებას შეუდგა, დიდმა სტალინმა რწმენა გამოთქვა, რომ „საბჭოთა ადამიანები კომუნისტური პარტიის მეთაურობით ძალღონეს და შრომას არ დაზოგავენ, რათა არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულონ ახალი ხუთწლედი“. ამ შრომის შედეგებს დღეს ჩვენ ვხედავთ სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის თვალსაჩინო წარმატებებში, მძლავრი აღმავლობის გზით ჩვენი ქვეყნის განუხრელ სვლაში.

დღეს „პრავდაში“ გამოქვეყნებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1949 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ მკაფიოდ მოწმობს საბჭოთა ხალხის ახალ შესანიშნავ გამარჯვებებს.

მრეწველობის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებული ზომების შედეგად ამაღლდა საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების დონე, გამოვლინდა საწარმოთა დამატებითი შინარეზერვები, მიღწეულია მომჭირნეობა ნედლეულის, სათბობის, მასალების ხარჯვაში. ყოველივე ამან შესაძლებლობა მისცა მთავრობას გაედიდებინა სამრეწველო წარმოების გეგმა, რომელიც თავდაპირველად იყო დაწესებული 1949 წლისათვის. ეს გადიდებული წლიური გეგმა მთლიანად მრეწველობაში შესრულებულია 103 პროცენტით.

ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის დიდ სასიცოცხლო ძალას მჭევრმეტყველურად მოწმობს ის ფაქტი, რომ 1949 წლის დამლევს ჩვენმა მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების მხრივ გადააჭარბა იმ დონეს, რომელიც ხუთწლიანი გეგმით დაწესებულია 1950 წლისათვის—ომისშემდგომი ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის. ხუთწლიანი გეგმის მიხედვით სსრ კავშირის მთელი მრეწველობის პროდუქციის მოცულობას 1950 წელს 48 პროცენტით უნდა გადაეჭარბებინა ომამდელი 1940 წლის წარმოებისათვის, მაგრამ უკვე 1949 წლის მეოთხე კვარტალში მრეწველობის საერთო პროდუქციის საშუალო თვიურმა გამოშვებამ 53 პროცენტით გადააჭარბა 1940 წლის დონეს.

სამრეწველო წარმოების განუხრელ აღმავლობას, რაც ყოველთვიურად, ყოველკვარტალურად იზრდება, თან ახლავს ჩვენი მრეწველობის მუშაობის ყველა ძირითადი მაჩვენებლის შემდგომი გაუმჯობესება. გაუმჯობესდა მოწყობილობის გამოყენება. შემცირდა, როგორც 1948 წელთან შედარებით, ისე საგეგმო ნორმებთან შედარებითაც, ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის ხარჯი პროდუქციის ერთეულზე. გადაჭარბებით შესრულდა მთავრობის მიერ გადიდებული გეგმა სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა. მოპოვებულია დიდი წარმატებანი საბრუნავი სახსრების განთავისუფლების საქმეში. 1948 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 13 პროცენტით გადიდდა. გაუმჯობესდა სამრეწველო პროდუქციის, კერძოდ მასობრივი მოხმარების საქონლისა და კვების პროდუქციის ხარისხი და ასორტიმენტი.

1949 წლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია სერიოზულ წარმატებათა მიღწევა ახალი ტექნიკის განვითარებასა და დანერგვაში, შრომატევად და მძიმე სამუშაოთა მექანიზაციაში. 1949 წლის განმავლობაში საბჭოთა მრეწველობამ შექმნა და სერიულად მზადდება 300-ზე მეტი უმნიშვნელოვანესი ახალი კონსტრუქციის მაღალნაყოფიერი მანქანა და მექანიზმი.

სოფლის მეურნეობის განვითარებაში თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს შარშან კოლმეურნეებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა.

მთელი სოციალისტური სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციამ შარშან გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის დონეს. 1948 წელთან შედარებით გადიდდა მარცვლეული და ტექნიკური კულტურების საერთო მოსავალი. მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალმა შეადგინა 7,6 მილიარდი ფუთი, გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის დონეს და თითქმის მიაღწია იმ ოდენობას, რაც გეგმით დაწესებულია ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის. 1948 წელთან შედარებით 6 მილიონი ჰექტარით გადიდდა ნათესი ფართობები. მტკიცე საფუძველი ჩაეყარა 1950 წლის უხვ მოსავალს: შესრულებულია საშემოდგომო კულტურების თესვის სახელმწიფო გეგმა, მზრალად მოხნულია 8,3 მილიონი ჰექტარით მეტი, ვიდრე 1949 წლის მოსავლისათვის.

საბჭოთა სახელმწიფო უდიდეს დახმარებას უწევს სოფლის მეურნეობას. 1949 წელს სოფლის მეურნეობამ ჩვენი მრეწველობისაგან 3-4-ჯერ მეტი ტრაქტორი, ავტომობილი და სასოფლო-სამეურნეო მანქანები მიიღო, ვიდრე ომამდელ 1940 წელს. ამან შესაძლებელი გახადა სოციალისტური მიწათმოქმედების კულტურის გაუმჯობესება, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლება.

მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში. გასულ წელს შეიქმნა 120 ათასამდე საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმა. წინასწარი მონაცემებით, კოლმეურნეობებში გადიდდა საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა—21 პროცენტით, ღორისა—78 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—19 პროცენტით, ცხენისა — 22 პროცენტით. ამჟამად კოლმეურნეობებს საზოგადოებრივი პროდუქტიული პირუტყვი მეტი ჰყავთ, ვიდრე ომამდელ 1940 წელს ჰყავდათ.

წარმატებით სრულდება ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმა. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1949 წელს თითქმის ერთიორად გადააჭარბეს ტყის გაშენების გეგმას. ტყე გაშენდა თითქმის 600 ათას ჰექტარზე, მომავალში გასაშენებლად მომზადებულია 800 ათასი ჰექტარი.

ომამდელ დონეს მნიშვნელოვნად გადააჭარბა რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვამ, გაუმჯობესდა, თუმცა გეგმით დაწესებულ ნორმებამდე ვერ შესრულდა, რკინიგზების მოძრავი შემადგენლობის გამოყენების ისეთი ძირითადი მაჩვენებლები, როგორიცაა ვაგონის მიმოქცევა, კომერციული სიჩქარე, ვაგონების მოცდენა ერთ სატვირთო ოპერაციაზე.

ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მეოთხე წელიწადს ახასიათებს კაპიტალური მშენებლობის უმაგალითო მასშტაბი. 1948 წელთან შედარებით კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა სახალხო მეურნეობაში გადიდდა 20 პროცენტით, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ამოქმედდა მნიშვნელოვანი საწარმოო სიმძლავრეები. ომისშემდგომი ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე აშენდა, აღდგენილ იქნა და ამუშავდა 5.200 სახელმწიფო სამრეწველო საწარმო, გარდა წვრილი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა. ისტორიას ჯერ არ უნახავს კაპიტალური მშენებლობის ასეთი ტემპი!

ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება სოციალისტური საზოგადოების განვითარების კანონია. საბჭოთა ადამიანებმა არ იციან, თუ რა არის უმუშევრობის საშინელება. მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში განუწყვეტლივ მატულობს. 1948 წელთან შედარებით იგი 1.800 ათასი კაცით გადიდდა. ამჟამად ჩვენს სახალხო მეურნეობაში მუშა და მოსამსახურე 15 პროცენტით მეტია, ვიდრე 1940 წელს იყო.

ყოველწლიურად დიდდება საბჭოთა კავშირის ნაციონალური შემოსავალი. შესადარ ფასებში მან 1949 წელს 17 პროცენტით გადააჭარბა 1948 წლის ნაციონალურ შემოსავალს და 36 პროცენტით — ომამდელი 1940 წლისას.

საბარათო სისტემის გაუქმების შემდეგ ფასების მეორე შემცირებას, რაც 1949 წლის 1 მარტს დამთავრდა, მოჰყვა მშრომელთა მყიდველობითი უნარის შემდგომი ზრდა, მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვის გადიდება.

გასულ წელს მიღწეულ იქნა დიდი წარმატებანი კულტურული მშენებლობის დარგში. დაწყებითს, შვიდწლიან და საშუალო სკოლებში, ტექნიკუმებსა და სხვა სპეციალურ სასწავლებლებში 36 მილიონზე მეტი კაცი სწავლობს, უმაღლეს სასწავლებლებში—1.128.000 სტუდენტი. გადიდდა სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა რაოდენობა და ამ დაწესებულებების მეცნიერ მუშაკთა რიცხვი.

მაშინ როცა საბჭოთა კავშირის სოციალისტური ეკონომიკა განუხრელად მიდის წინ, უმჯობესდება მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა და მაღლდება კულტურული დონე, კაპიტალისტური ქვეყნები უფრო და უფრო ღრმად ეფლობიან ახალ ეკონომიურ კრიზისში. მარტო ერთ წელიწადში—1948 წლის ოქტომბრიდან 1949 წლის ოქტომბრამდე—ამერიკის შეერთებულ შტატებში 22 პროცენტით შემცირდა სამრეწველო წარმოების დონე. წარმოების დაცემა გრძელდებოდა მეოთხე კვარტალში. კაპიტალური დაბანდება მრეწველობაში 1949 წელს 15 პროცენტით შემცირდა. 1948 წელთან შედარებით, ოფიციალური, მნიშვნელოვნად შემცირებული მონაცემებითაც კი, უმუშევართა რიცხვი ამერიკის შეერთებულ შტატებში 64 პროცენტით გადიდდა.

1949 წლის შედეგები დიდი პატრიოტული სიამაყის გრძნობას აღუძრავს ყველა საბჭოთა ადამიანს, კვლავ და კვლავ ცხადყოფს მეურნეობის სოციალისტური სისტემის უდიდეს უპირატესობას კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით. მაგრამ საბჭოთა ადამიანებს არა სჩვევიათ გაამპარტავნება და განცხრომა. ჩვენს მრეწველობას, ტრანსპორტს, სოფლის მეურნეობას, საბჭოთა ეკონომიკის ყველა დარგს დიდი შინარეზერვები მოეპოვება. გასულ წელს ამ რეზერვებს ყველგან როდი იყენებდნენ სათანადო ენერგიით. ზოგიერთმა სამინისტრომ მთლიანად ვერ შეასრულა ცალკეულ სახეთა პროდუქციის გეგმა. მრეწველობის მთელ რიგ დარგებში, მათ შორის მანქანათმშენებლობაში, ჯერ კიდევ მოიპოვება მოწყობილობის სიმძლავრისა და საწარმოო ფართობების მნიშვნელოვანი გამოუყენებელი რეზერვები.

საბჭოთა ხალხი ემზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. არჩევნებისათვის მზადებამ მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალი აღმავლობა გამოიწვია. საბჭოთა ადამიანები უფრო ფართოდ გააჩაღებენ რა საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ახალ-ახალ წარმატებას მოიპოვებენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში, ვადამდე შეასრულებენ ომისშემდგომ სტალინურ ხუთწლედს.

**„პრავდის“ 18-I მოწინავე**

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქალაქ გორის რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებზე მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გამოეყოს ქალაქი გორი გორის რაიონს და მიეკუთვნოს საქართველოს სსრ რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის დროებით აღმსრულებელი **ა. ჯანელიძე**

ქ. თბილისი, 1950 წ. 18 იანვარი.

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ თბილისის რაიონის ტერიტორიის ქალაქ თბილისთან შეერთებისა და ქ. თბილისის საგარეუბნო რაიონის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეუერთდეს საქართველოს სსრ თბილისის რაიონის ტერიტორია ქალაქ თბილისს და შეიქმნას ქალაქ თბილისის საგარეუბნო რაიონი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის დროებით აღმსრულებელი **ა. ჯანელიძე**

ქ. თბილისი, 1950 წ. 18 იანვარი.

## ლენინგრადიდან მოსკოვს დაბრუნდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი მაო ძე-დუნი

17 იანვარს ლენინგრადიდან მოსკოვს დაბრუნდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი მაო ძე-დუნი, რომელსაც ახლდნენ სსრ კავშირში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ბ-ნ ვან ძია-სიანი და პროფესორი ჩენ ბო-და.

ვაგზალზე ბ-ნ მაო ძე-დუნს შეხვდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ნ. ვ. როშჩინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორეულ აღმოსავლეთის 1-ლი განყოფილების გამგის მოვალეობის აღმსრულებელი ი. ფ. კურდიუკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოვალეობის აღმსრულებელი ჰ. ა. ბუჩუევი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს შემადგენლობა.

ვაგზალი მორთული იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით. (ტასსი).

# სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1949 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის განვითარება, კაპიტალური მშენებლობა, საქონელბრუნვის გაშლა და ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება 1949 წელს ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

### I. წარმოების გეგმის შესრულება მრეწველობაში

წარმოების გეგმა 1949 წელს მრეწველობის **საერთო პროდუქციის** მიხედვით სამინისტროების მიერ შესრულებულია შემდეგნაირად:

| | 1949 წლის გეგმის შესრულების პროცენტი |
|---|---|
| მეტალურგიული მრეწველობის სამინისტრო | 102 |
| ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო | 102 |
| ნავთის მრეწველობის სამინისტრო | 103 |
| ელექტროსადგურების სამინისტრო | 101 |
| ქიმიური მრეწველობის სამინისტრო | 104 |
| ელექტრომრეწველობის სამინისტრო | 105 |
| კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტრო | 103 |
| მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო | 106 |
| საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის სამინისტრო | 103 |
| დაზგათმშენებლობის სამინისტრო | 106 |
| მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრო | 103 |
| სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტრო | 103 |
| სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრო | 102 |
| სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო | 100 |
| სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო | 104 |
| სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო | 100 |
| სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო | 108 |
| სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტრო | 95 |
| სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო | 105 |
| სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრო | 104 |
| მოკავშირე რესპუბლიკათა ადგილობრივი მრეწველობისა და ადგილობრივი სათბობის მრეწველობის სამინისტროები | 107 |
| სარეწაო კოოპერაცია | 106 |

გასული წლის მანძილზე მთავრობამ განახორციელა ღონისძიებანი მრეწველობის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამის შედეგად ამაღლდა საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების დონე, მიღწეულია მომჭირნეობა ნედლეულის, სათბობისა და მასალების ხარჯვაში და გამოვლინებულია საწარმოთა დამატებითი შინარეზერვები. ამან შესაძლებლობა მისცა მთავრობას წლის განმავლობაში გაედიდებინა 1949 წლისათვის თავდაპირველად დადგენილი სამრეწველო პროდუქციის გეგმა. გადიდებული წლიური გეგმა მთლიანად მრეწველობაში შესრულებულია 103 პროცენტით.

1949 წელს გეგმის გადამეტებით გამოშვებულია მნიშვნელოვანი რაოდენობის სამრეწველო პროდუქცია: შავი და ფერადი ლითონები, მილები, ქვანახშირი, ნავთობი, ბენზინი, ნავთი, ელექტროენერგია, ელექტრომოტორები, ტრანსფორმატორები, ელექტროლამპები, ლითონსაჭრელი დაზგები, ავტომობილები, ავტობუსები, ტროლეიბუსები, მოტოციკლები, ბურთულსაკისარები, ავტოამწეები, მინერალური სასუქები, საღებავები და სხვა ქიმიკატები, კაუჩუკი, ავტოსაბურავები, ცემენტი, ფანჯრის მინა, რბილი სახურავი, საკერავი მანქანები, ფოტოაპარატები, ბამბის, სელის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილები, წინდის ნაწარმი, რეზინის ფეხსაცმელი, ხორცი, მცენარეული ზეთი, შაქარი, საკონდიტრო ნაწარმი, კონსერვები, ჩაი, პაპიროსი, სპირტი, შამპანური და მრავალი სხვა სახის სამრეწველო პროდუქცია.

თუმცა მრეწველობამ მთლიანად საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა და ნატურით სამრეწველო პროდუქციის მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეთა წარმოების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, მაგრამ ცალკეულმა სამინისტროებმა ვერ შეასრულეს გეგმა პროდუქციის ცალკეული მნიშვნელოვანი სახის მიხედვით.

### II. სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდა

უმნიშვნელოვანეს სახეთა სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1949 წელს 1948 წელთან შედარებით შეიცვალა შემდეგნაირად:

| | 1949 წელი პროცენტობით 1948 წელთან შედარებით |
|---|---|
| თუჯი | 119 |
| ფოლადი | 125 |
| ნაგლინი | 127 |
| რკინიგზის რელსები | 180 |
| რკინის მილები | 131 |
| სპილენძი | 120 |
| თუთია | 124 |
| ტყვია | 126 |
| ქვანახშირი | 113 |
| ნავთობი | 114 |
| ბენზინი | 110 |
| ნავთი | 117 |
| დიზელის სათბობი | 132 |
| ბუნებრივი გაზი | 103 |
| ელექტროენერგია | 118 |
| სამაგისტრალო ორთქლმავლები | 115 |
| სამაგისტრალო ელმავლები | 216 |
| სამაგისტრალო სატვირთო ვაგონები | 147 |
| ტროლეიბუსები | 126 |
| სატვირთო ავტომანქანები | 130 |
| მსუბუქი ავტომანქანები | 226 |
| ავტობუსები | 117 |
| ბურთულსაკისარები | 128 |
| მეტალურგიული მოწყობილობა | 127 |
| ექსკავატორები | 150 |
| ორთქლის ტურბინები | 172 |
| ავტოამწეები | 200 |
| ავტომტვირთავები | 6,6-ჯერ |
| ელექტრომოტორები 100 კილოვატამდე | 134 |
| ელექტრომოტორები 100 კილოვატს ზევით | 137 |
| ლითონსაჭრელი დაზგები — დაზგათმშენებლობის სამინისტრო | 119 |

| | 1949 წელი პროცენტობით 1948 წელთან შედარებით |
|---|---|
| სართავი მანქანები | 136 |
| საფეიქრო დაზგები | 173 |
| საანგარიშო მანქანები | 179 |
| ტრაქტორები | 155 |
| მარცვლეულის კომბაინები | 201 |
| ტრაქტორის გუთნები | 155 |
| ტრაქტორის სათესი მანქანები | 156 |
| ტრაქტორის კულტივატორები | 142 |
| რთული სალეწი მანქანები | 159 |
| კაუსტიკური სოდა | 127 |
| კალცინირებული სოდა | 131 |
| მინერალური სასუქი | 131 |
| სინთეზური საღებავები | 112 |
| სინთეზური კაუჩუკი | 136 |
| ავტოსაბურავი | 139 |
| სამასალე მერქნის გამოზიდვა | 115 |
| ქაღალდი | 127 |
| ცემენტი | 126 |
| ფანჯრის მინა | 119 |
| შიფერი | 137 |
| რბილი სახურავი | 123 |
| აგური | 132 |
| სტანდარტული სახლები | 154 |
| ველოსიპედები | 144 |
| რადიომიმღებები | 165 |
| პატეფონები | 163 |
| საკერავი მანქანები | 134 |
| საათები | 194 |
| ფოტოაპარატები | 106 |
| ბამბის ქსოვილი | 114 |
| სელის ქსოვილი | 122 |
| შალის ქსოვილი | 119 |
| აბრეშუმის ქსოვილი | 128 |
| ტყავის ფეხსაცმელი | 122 |
| რეზინის ფეხსაცმელი | 128 |
| წინდის ნაწარმი | 132 |
| ხორცი | 106 |
| ძეხვის ნაწარმი | 143 |
| თევზი | 122 |
| ერბო-კარაქი | 106 |
| მცენარეული ზეთი | 132 |
| შაქარი | 123 |
| საკონდიტრო ნაწარმი | 127 |
| კონსერვები | 135 |
| ჩაი | 121 |
| საპონი | 170 |
| სპირტი | 125 |
| პაპიროსი | 117 |
| ყურძნის ღვინო | 128 |
| შამპანური | 272 |
| ლუდი | 139 |

სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1949 წელს 1948 წელთან შედარებით 20 პროცენტით გაიზარდა და ომამდელი 1940 წლის დონეს 41 პროცენტით გადააჭარბა.

1949 წლის დამლევისათვის მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვებამ გადააჭარბა ხუთწლიანი გეგმით 1950 წლისათვის დაწესებულ დონეს. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო, რომ სსრ კავშირის მთელი მრეწველობის პროდუქციის მოცულობას 1950 წელს 48 პროცენტით უნდა გადაეჭარბებინა ომამდელი 1940 წლის წარმოებისათვის. 1949 წლის მეოთხე კვარტალში მრეწველობის საერთო პროდუქციის საშუალო თვიურმა გამოშვებამ 53 პროცენტით გადააჭარბა 1940 წლის დონეს.

1949 წლის მეოთხე კვარტალში გადაჭარბებულია ხუთწლიანი გეგმით 1950 წლისათვის დაწესებული დონე ნაგლინის წარმოებისა, ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს მიერ ქვანახშირის ამოღებისა, ნავთის მოპოვებისა და მთელი რიგი სხვა უმნიშვნელოვანესი სახეების სამრეწველო პროდუქციის წარმოებისა.

1949 წელს შესრულებულია მომარაგების სახელმწიფო გეგმა. სახალხო მეურნეობამ გასულ წელს მიიღო გაცილებით მეტი ნედლეული, მასალები, სათბობი, ელექტროენერგია და მოწყობილობა, ვიდრე 1948 წელს.

1949 წელს გრძელდებოდა მრეწველობაში მოწყობილობის გამოყენების შემდგომი გაუმჯობესება. სახელმწიფო გეგმით 1949 წლისათვის დაწესებული მოწყობილობის გამოყენების საშუალო-პროგრესიული ნორმები მრეწველობის ბევრ დარგში მთლიანად და გადაჭარბებით არის შესრულებული.

მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში ბრძმედების სასარგებლო მოცულობის გამოყენება 1948 წელთან შედარებით გაიზარდა 6 პროცენტით და 1940 წელთან შედარებით—18 პროცენტით, ხოლო მარტენის ღუმელების ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე ფოლადის მიღება გაიზარდა 1948 წელთან შედარებით 11 პროცენტით და 1940 წელთან შედარებით 24 პროცენტით.

ნავთის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში ნავთის ჭაბურღილების საექსპლოატაციო ბურღვის სიჩქარე 1948 წელთან შედარებით გაიზარდა 5 პროცენტით და 1940 წელთან შედარებით—33 პროცენტით. 1940 წელთან შედარებით 1949 წელს გაიზარდა გადამუშავებული ნედლეულიდან ნავთის სუფთა პროდუქტების გამოსავლიანობის პროცენტი.

გაუმჯობესდა ქიმიური მრეწველობის ძირითადი დარგების მოწყობილობის გამოყენება. გადაჭარბებით შესრულდა სსრ კავშირის საშენი მასალების მრეწველობის სამინისტროს ცემენტისა და შუშის ქარხნების სიმძლავრეთა გამოყენების 1949 წლისათვის დაწესებული გეგმა. გაუმჯობესდა ნედლეულის გამოყენება სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ბამბეულის, შალისა და სელის ქსოვილების მრეწველობის დარგებში.

ამავე დროს მრეწველობის ზოგიერთ დარგებში, განსაკუთრებით სატყეო და ბამბეულის დარგებში, გასულ წელთან შედარებით მოწყობილობის გამოყენების გაუმჯობესებასთან ერთად 1949 წლისათვის გეგმით დაწესებული მოწყობილობის გამოყენების ნორმები არ არის მიღწეული. მოწყობილობისა და საწარმოო ფართობების სიმძლავრეთა დიდი, ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვებია მანქანათმშენებლობაში.

ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვა პროდუქციის ერთეულზე 1949 წელს მრეწველობის ბევრ დარგში შემცირებულია როგორც 1948 წელთან, ისე გეგმის ნორმებთან შედარებით.

წარმოების ზრდისა და მრეწველობის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების შედეგად მთავრობამ წლის განმავლობაში გაადიდა დავალება სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დარგში. თვითღირებულების შემცირების გადიდებული გეგმა გადაჭარ-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1949 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

(დასასრული)

ბებით შესრულდა. 1949 წელს სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება, შესადარ ფასებში, 1948 წელთან შედარებით 7,3 პროცენტით შემცირდა. მრეწველობის მუშაკებმა 1949 წელს დიდ შედეგებს მიაღწიეს საბრუნავი სახსრების განთავისუფლების საქმეში. 1949 წელს გრძელდებოდა სამრეწველო პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის შემდგომი გაუმჯობესება. გაუმჯობესდა ქსოვილების, სატრიკოტაჟო და სამკერვალო ნაწარმის, ფეხსაცმლისა და კვების პროდუქტების ასორტიმენტი. მაგრამ ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა მსუბუქი, კვების, ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის ცალკე საწარმოები არ ასრულებენ დაწესებულ სახელმწიფო გეგმას სამრეწველო პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის დარგში.

### III. ახალი ტექნიკის დანერგვა სახალხო მეურნეობაში

1949 წელს დაწესებული გეგმის შესაბამისად სახალხო მეურნეობის ყველა დარგში სერიოზული წარმატებებია მიღწეული ახალი ტექნიკისა და შრომატევადი და მძიმე სამუშაოების მექანიზაციის დანერგვასა და განვითარებაში.

მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა შრომატევადი და მძიმე სამუშაოების მექანიზაციისათვის მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე, განსაკუთრებით ქვანახშირის მრეწველობაში — შახტებში ქვანახშირის ჩაჭრისა და მონგრევის, მიტანისა და დატვირთვისათვის, სამთამადნო მრეწველობაში—შავი და ფერადი ლითონების მადნის ბურღვისა და გამოზიდვისათვის, მშენებლობაში—მიწისა და ბეტონის სამუშაოების მექანიზაციისათვის, ხე-ტყის დამამზადებელ მრეწველობაში — ხე-ტყის გამოზიდვის მექანიზაციისათვის. გაიზარდა დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების მექანიზაცია რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტზე.

სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების შემდგომი ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფისათვის 1949 წელს ჩვენი მრეწველობის მიერ შექმნილი და სერიულ წარმოებაში გადაცემულია 300-ზე მეტი უმნიშვნელოვანესი ახალი კონსტრუქციის მაღალნაყოფიერი მანქანა და მექანიზმი.

ყველაზე შრომატევადი და მძიმე სამუშაოების მექანიზაციისათვის ქვანახშირის მრეწველობაში გამოშვებულია ქვანახშირის ახალი კომბაინები, გაუმჯობესებული საყელავი და ქვანახშირის საყრელი მანქანები და მძლავრი ხვეტია ტრანსპორტიორები; მშენებლობაში მიწის სამუშაოების მექანიზაციისათვის და ღია საშუალებით სასარგებლო წიაღისეულის ამოღებისათვის—უფრო ნაყოფიერი სატრანშეო, ერთჩამჩიანი და მრავალჩამჩიანი ექსკავატორები და მძლავრი სკრეპერები; სოფლის მეურნეობისათვის — მოსავლის ამღები სხვადასხვა ახალი ტიპის მანქანები, მათ შორის კარტოფილისა და ჭარხლის მოსავლის ამღები კომბაინები, მზესუმზირას მოსავლის ამღები კომბაინები, სელის კომბაინები, ბამბის მოსავლისა და სიმინდის ამღები მანქანები; დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებისათვის — სხვადასხვა ტიპის გაუმჯობესებული ამწე-სატრანსპორტო მოწყობილობა, მათ შორის ახალი ტიპის ამწეები, ავტომტვირთავები და შტაბელდამწყობები.

დაზგათმშენებლობის მრეწველობამ აითვისა და გამოუშვა ლითონსაჭრელი, სამჭედლო-საწნეხი მანქანების, ინსტრუმენტებისა და სააბრაზივო ნაკეთობათა ახალი მაღალნაყოფიერი მოდელები, მათ შორის უნივერსალური კბილმღარავი ნახევარავტომატები, ვერტიკალური და ჰორიზონტალური საღარავი ჩქაროსნული დაზგები, დიდი რაოდენობის ახალი ტიპის საგრეგატო დაზგები, დაზგები ნახვრეტების ელექტრონაპერწკლური დამუშავებისათვის.

მსუბუქი მრეწველობისათვის გამოშვებულია უფრო სრულყოფილი ავტომატური საფეიქრო დაზგები, მაღალჩქაროსნული საფთილე, სართავი და საქსლე მანქანები. ახალი მაღალნაყოფიერი მოწყობილობა გამოშვებულია აგრეთვე კვების მრეწველობისათვის.

ათვისებულია ახალი ტიპის მექანიკური, ოპტიკური და ელექტრული საკონტროლო-მარეგულირებელი აპარატურა წარმოების ავტომატიზაციისა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისათვის.

1949 წლის მანძილზე გრძელდებოდა ახალი მაღალნაყოფიერი ტექნოლოგიური პროცესების შემდგომი დანერგვა და განვითარება.

მეტალურგიულ მრეწველობაში გამოყენებული იყო ახალი ტექნოლოგიური პროცესები თუჯისა და ფოლადის წარმოებისას, ათვისებულია ახალი სახეების ნაგლინის წარმოება. ფერად მეტალურგიაში გამოყენებული იყო მადნის გადამუშავების ახალი მეთოდები, რაც ადიდებს ფერადი ლითონების სრულად ამოღებას. ათვისებულია ახალი მარკების მაგარი და სიცხეგამძლე შენადნობთა, აგრეთვე ფერადი ლითონების შენადნობთა წარმოება.

ნავთის მრეწველობაში ფართოდ იყო გამოყენებული ნავთის ჭაბურღილების ბურღვის სატურბინო საშუალება და ჩქარი რეჟიმი, ათვისებულია ნავთის ქანების დამუშავებისა და ექსპლოატაციის ახალი რაციონალური მეთოდები.

მანქანათმშენებლობაში შემდგომი გავრცელება ჰპოვა ლითონის მექანიკური დამუშავების მოწინავე მეთოდებმა: ჩქარმა ჭრამ, დეტალებისა და კვანძების ნაკადური მეთოდით დამუშავებამ, დეტალებისა და ინსტრუმენტების ელექტრონაპერწკლურმა და ანოდურ-მექანიკურმა დამუშავებამ. გადიდდა ფერადი და შავი ლითონების გამოდნობა სხმის მოწინავე მეთოდებით — ცენტრიდანული და წნევის ქვეშ სხმით.

1949 წელს მუშაობა ჩატარდა საწარმოო პროცესების შემდგომი ავტომატიზაციისათვის მეტალურგიაში, ქიმიაში, ელექტროსადგურებში, მანქანათმშენებლობაში, კვებისა და მსუბუქ მრეწველობაში.

რკინიგზის ტრანსპორტზე გაიზარდა მატარებლების ელექტრო და სათბომავლო წევა, აგრეთვე გადიდდა უახლესი კონსტრუქციების მძლავრი გაუმჯობესებული ორთქლმავლების რაოდენობა, ინერგება სიგნალიზაციისა და ავტომატიზაციის ახალი სახეები, ავტობლოკირება, ავტოსტოპები, ავტომატური სიგნალიზაცია.

1949 წელს გაიზარდა მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა, რომლებიც მიმართულია სახალხო მეურნეობის ყველა დარგში წარმოების პროცესების შემდგომი გაუმჯობესებისა და ძირეული სრულყოფისაკენ. 1949 წელს მარტო სამრეწველო საწარმოებში დანერგილ გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა რაოდენობა 450 ათასზე მეტს შეადგენს.

1949 წელს ახალი ტექნიკის განვითარებისა და დანერგვის დარგში მიღწეულ წარმატებებთან ერთად ჩამორჩებოდა დაწესებულ დავალებათა შესრულება ქვანახშირის შახტების კომპლექსურ მექანიზაციაში, სამშენებლო სამუშაოთა კომპლექსურ მექანიზაციაში, ხე-ტყის დამზადების მექანიზაციაში, აგრეთვე ზოგიერთი ახალი სახის მოწყობილობის ათვისებაში.

### IV. სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციამ მთლიანად 1949 წელს გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის დონეს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსავლიანობის გამომრკვევი მთავარი სახელმწიფო ინსპექციის მონაცემებით მარცვლეული და ტექნიკური კულტურების საერთო მოსავალი 1949 წელს გაიზარდა 1948 წელთან შედარებით. მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალმა შეადგინა 7,6 მილიარდი ფუთი, გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის დონეს და თითქმის მიაღწია იმ ოდენობას, რაც ხუთწლიანი გეგმით დაწესებულია 1950 წლისათვის. ბამბის, სელის, მზესუმზირისა და კარტოფილის საერთო მოსავალმა აგრეთვე მნიშვნელოვნად გადააჭარბა 1940 წლის მოსავალს.

1949 წლის მოსავლისათვის ყველა კულტურის ნათესი ფართობი 1948 წელთან შედარებით გადიდდა 6 მილიონი ჰექტარით.

შესრულებულია 1950 წლის მოსავლისათვის საშემოდგომო თესვის სახელმწიფო გეგმა. 1950 წლის მოსავლისათვის მზრალად მოხნულია 6,3 მილიონი ჰექტარით მეტი, ვიდრე 1949 წლის მოსავლისათვის.

სოციალისტური მრეწველობის ზრდამ შესაძლებელი გახადა 1949 წელს მნიშვნელოვნად გადიდებულიყო სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღება. სოფლის მეურნეობამ მიიღო 150 ათასი ტრაქტორი ხუთმეტ ძალიანზე გადაყვანით, 29 ათასი კომბაინი, მათგან 12 ათასი თვითმავალი, 64 ათასი სატვირთო ავტომანქანა და 1.600 ათასზე მეტი მისაბმელი იარაღი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა. სულ სოფლის მეურნეობამ 1949 წელს მიიღო 3-4-ჯერ მეტი ტრაქტორები, ავტომანქანები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ვიდრე ომამდელ 1940 წელს.

სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების შემდგომმა გადიდებამ შესაძლებელი გახადა 1949 წელს აგვემაღლებინა სოციალისტური მიწათმოქმედების კულტურა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა 1949 წელს კოლმეურნეობებში შეასრულეს 21 პროცენტით მეტი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, ვიდრე 1948 წელს და 19 პროცენტით მეტი, ვიდრე ომამდელ 1940 წელს. საშუალო გამომუშავება ერთ 15 ძალიან ტრაქტორზე 1949 წელს გაიზარდა და 17 პროცენტით მეტი იყო 1940 წლის გამომუშავებაზე. კომბაინის საშუალო გამომუშავება 18 პროცენტით გაიზარდა 1948 წელთან შედარებით და გადააჭარბა 1940 წლის გამომუშავებას.

კოლმეურნე გლეხობა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები 1949 წელს დიდი აღფრთოვანებით ახორციელებდნენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების 1949-1951 წლების სამწლიანი გეგმის შესახებ.

1949 წელს ახლად მოეწყო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, მეცხვარეობის, მეღორეობისა და მეფრინველეობის 120 ათასამდე საკოლმეურნეო ფერმა. საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებში 1949 წელს, წინასწარი ცნობებით, გაიზარდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა—21 პროცენტით, მათ შორის ძროხისა—27 პროცენტით, ღორის სულადობა—78 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—19 პროცენტით და ცხენისა—22 პროცენტით. ფრინველის სულადობა ერთი ორად გაიზარდა. სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში პირუტყვის სულადობა 1949 წელს გაიზარდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა—13 პროცენტით, ღორისა—46 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—12 პროცენტით და ცხენისა — 13 პროცენტით. გაიზარდა აგრეთვე კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის სულადობა.

1949 წელს საზოგადოებრივი პროდუქტიული პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებში მეტი იყო, ვიდრე ომამდელ 1940 წელს: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა—27 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—44 პროცენტით, ღორისა—16 პროცენტით.

სერიოზული წარმატებებია მიღწეული პირუტყვის ჯიშიანი შემადგენლობის გაუმჯობესებაში. სახიშე მუშაობის განვითარებაში პარტიისა და მთავრობის ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ჯიშიანი მაღალპროდუქტიული პირუტყვის რაოდენობა.

კოლმეურნეობებში ჯიშიანი მაღალპროდუქტიული პირუტყვი 1949 წლის დამლევისათვის შეადგენდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საერთო სულადობის ერთ მესამედზე მეტს და ყველა ღორისა და ცხვრის ნახევარზე მეტს. საბჭოთა მეურნეობებში ჯიშიანი მაღალპროდუქტიული პირუტყვი შეადგენდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის და ღორის საერთო სულადობის თითქმის სამ მეოთხედს და ყველა ცხვრის ოთხ მეხუთედზე მეტს.

წარმატებით სრულდება სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ველიან და ტყე-ველიან რაიონებში უხვი და მყარი მოსავლის უზრუნველსაყოფად მინდორსაცავი ტყის ნარგავების, ნათესბალახიანი თესლბრუნვის დანერგვის, გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობის გეგმა, მიღებული პარტიისა და მთავრობის მიერ.

სულ მინდორსაცავი ტყის ნარგავი გაშენებულია 590 ათას ჰექტარ ფართობზე, აქედან 1949 წელს 370 ათასზე მეტ ჰექტარ ფართობზე. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ტყის რგვის 1949 წლის გეგმა თითქმის ერთიორად შეასრულეს. მომზადებულია 800 ათასი ჰექტარი მიწა ტყის მომავალი რგვისათვის.

### V. რკინიგზის, სამდინარო და საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთზიდვის ზრდა

1949 წელს 1948 წელთან შედარებით ყველა სახის ტრანსპორტის ტვირთბრუნვის გეგმა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

1949 წელს 1948 წელთან შედარებით რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 17 პროცენტით გადიდდა და მნიშვნელოვნად გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის დონეს.

საშუალო სადღეღამისო დატვირთვის საერთო გეგმა 1949 წელს რკინიგზებმა შეასრულეს 103 პროცენტით. ყველა ტვირთის საშუალო სადღეღამისო დატვირთვა 1949 წელს 1948 წელთან შედარებით გადიდდა 16 პროცენტით, მათ შორის ქვანახშირის დატვირთვა გადიდდა 11 პროცენტით, კოქსისა—17 პროცენტით, ნავთისა და ნავთპროდუქტებისა—21 პროცენტით, მადნისა—22 პროცენტით, შავი ლითონებისა—20 პროცენტით, შაქრისა—29 პროცენტით, მინერალურ-სამშენებლო მასალებისა—26 პროცენტით, ხე-ტყის ტვირთებისა—24 პროცენტით, შეშისა—20 პროცენტით.

მოძრავი შემადგენლობის გამოყენების მაჩვენებლები — ვაგონის ბრუნვა, კომერციული სისწრაფე, ვაგონების მოცდენა ერთი სატვირთო ოპერაციის დროს — 1949 წელს 1948 წელთან შედარებით გაუმჯობესდა, მაგრამ ვერ მიაღწია გეგმით დაწესებულ ნორმებს.

სათბობის ხარჯი ტონა-კილომეტრზე 1949 წელს 1948 წელთან შედარებით რკინიგზებზე შემცირდა 9 პროცენტით.

სამდინარო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვა 1949 წელს შესრულებულია—102 პროცენტით, ტვირთბრუნვის გეგმა აგრეთვე გადაჭარბებითაა შესრულებული. ნავთისა და ნავთპროდუქტების, ქვანახშირის, ლითონის, ქიმიური ტვირთების, მარილის, მინერალურ-სამშენებლო მასალების და ხე-ტყის ტვირთების გემებით გადაზიდვის გეგმა გადაჭარბებითაა შესრულებული. შესრულებული არ არის ხე-ტყის ტვირთებისა ტივებით და მადნისა და ცემენტის გადაზიდვის გეგმა. სამდინარო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვა და ტვირთბრუნვა 1949 წელს 1948 წელთან შედარებით გადიდდა 21 პროცენტით. სამდინარო ტრანსპორტის ტვირთბრუნვამ 1949 წელს გადააჭარბა 1940 წლის დონეს.

საზღვაო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვის გეგმა 1949 წელს შესრულებულია. ტვირთბრუნვის წლიური გეგმა საზღვაო ტრანსპორტმა ვერ შეასრულა. საზღვაო ფლოტით ტვირთების გადაზიდვა 1949 წელს 1948 წელთან შედარებით 15 პროცენტით გადიდდა. საზღვაო ტრანსპორტის ტვირთბრუნვამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის დონეს.

საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 1949 წელს 1948 წელთან შედარებით 28 პროცენტით გადიდდა და თითქმის ერთიორად გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის დონეს. მაგრამ საავტომობილო ტრანსპორტს მნიშვნელოვანი რეზერვები მოეპოვება ტვირთბრუნვის გასადიდებლად, ვინაიდან ბევრი ავტომეურნეობა სატვირთო ავტომანქანებს ჯერ კიდევ საკმარისად არ იყენებს.

### VI. კაპიტალურ სამუშაოთა ზრდა სახალხო მეურნეობაში

ყველა კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა სახალხო მეურნეობაში 1949 წელს 1948 წელთან შედარებით 120 პროცენტს შეადგენდა, აქედან ქვანახშირისა და ნავთის მრეწველობისა—122 პროცენტს, მეტალურგიული მრეწველობისა—118 პროცენტს, ელექტროსადგურებისა — 139 პროცენტს, მანქანათმშენებლობისა—110 პროცენტს, საშენ მასალათა მრეწველობისა—112 პროცენტს, კვების მრეწველობისა—121 პროცენტს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობებისა — 154 პროცენტს, ტრანსპორტისა—132 პროცენტს და საბინაო მშენებლობისა—126 პროცენტს.

1949 წელს ამუშავებულია მნიშვნელოვანი საწარმოო სიმძლავრენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

1946-1949 წლებში აგებული, აღდგენილი და ამუშავებულია 5.200 სახელმწიფო სამრეწველო საწარმო, წვრილი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოების ჩაუთვლელად.

შემდგომ განვითარდა მსხვილი სამშენებლო ინდუსტრია, რომელიც ემყარება მოწინავე ტექნიკას და მშენებელთა მუდმივ კადრებს.

მანქანათმშენებლობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრომ და ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გაადიდეს 1948 წელთან შედარებით საიჯარო, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა და შეასრულეს 1949 წლის გეგმა საიჯარო სამუშაოთა მოცულობის დარგში, მაგრამ მთლიანად ვერ შეასრულეს საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავების გეგმა.

მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრომ და გზათა სამინისტროს და ნავთის მრეწველობის სამინისტროს საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებმა თუმცა გაადიდეს საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა 1948 წელთან შედარებით, მაგრამ ვერ შეასრულეს წლიური გეგმა.

მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების გამოყენება, დიდი რაოდენობის სამშენებლო მანქანებითა და მექანიზმებით მშენებლობათა აღჭურვის და მასალებით კაპიტალური მშენებლობის უკეთ მომარაგების შედეგად სამრეწველო და სამოქალაქო შენობათა აგება უფრო მოკლე ვადებში ხორციელდება. ამავე დროს მშენებლობებზე დიდი შესაძლებლობანია მშენებლობის შემდგომი დაჩქარებისათვის, მანქანების უკეთ გამოყენებისა და საშენ მასალათა ეკონომიისათვის.

### VII. საქონელბრუნვის გაშლა

1949 წელს გრძელდებოდა საბჭოთა ვაჭრობის გაშლა. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განუხრელი აღმავლობის, მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოების ზრდის, სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დარგში ახალი მიღწევების საფუძველზე მთავრობამ გაატარა საბარათო სისტემის გაუქმების შემდეგ მეორე შემცირება ფასებისა, რაც 1949 წლის 1 მარტისათვის დამთავრდა. ფასების ამ შემცირებამ გამოიწვია მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვის შემდგომი გადიდება.

1949 წლის განმავლობაში მოსახლეობას მიეყიდა (შესადარ ფასებში) 20 პროცენტით მეტი საქონელი, ვიდრე 1948 წელს. ამასთან სასურსათო საქონლის გაყიდვა გადიდდა 17 პროცენტით და სამრეწველო საქონლის გაყიდვა 25 პროცენტით. ყველაზე მეტად გადიდდა შემდეგი საქონლის გაყიდვა: ძეხვეულის ნაწარმისა — 37 პროცენტით, მაკარონის ნაწარმისა—30 პროცენტით, საკონდიტრო ნაწარმისა—22 პროცენტით, ხილისა — 21 პროცენტით, შალის ქსოვილებისა—67 პროცენტით, აბრეშუმის ქსოვილებისა—50 პროცენტით, სამკერვალო ნაწარმისა—29 პროცენტით, ტყავის ფეხსაცმლისა — 29 პროცენტით, რეზინის ფეხსაცმლისა—31 პროცენტით, სარეცხის საპნისა—41 პროცენტით, ავეჯისა — 38 პროცენტით, საათებისა—ერთიორად, პატეფონებისა — ერთნახევარჯერ და უფრო მეტად, რადიომიმღებებისა—ერთნახევარჯერ, ველოსიპედებისა — 38 პროცენტით, მოტოციკლებისა—35 პროცენტით.

1949 წელს მოსახლეობას ომამდელ 1940 წელზე მეტი რაოდენობით მიეყიდა ერბო-კარაქი და მცენარეული ზეთი, შაქარი, ხორცი, თევზი, მაკარონის ნაწარმი, შალის, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილები, ფეხსაცმელი და ბევრი სხვა სასურსათო და სამრეწველო საქონელი.

საკოლმეურნეო ბაზრებზე მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და განსაკუთრებით ხორცის, რძის, ერბო-კარაქის, კვერცხისა და ხილის მიყიდვა მნიშვნელოვნად გადიდდა 1948 წელთან შედარებით და საერთოდ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ომამდელ დონეს. 1949 წელს ფასები საკოლმეურნეო ბაზრებზე კვლავ მცირდებოდა.

### VIII. მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის გადიდება და შრომის ნაყოფიერების ზრდა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 1949 წელს 1948 წელთან შედარებით გადიდდა 1.8 მილიონი კაცით და ომამდელი 1940 წლის დონეს 15 პროცენტით გადააჭარბა. მრეწველობაში, სოფლისა და სატყეო მეურნეობაში, მშენებლობაზე და ტრანსპორტზე მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი გადიდდა 1.400 ათასი კაცით და სასწავლო, სამეცნიერო-საკვლევ და სამკურნალო დაწესებულებებში—250 ათასი კაცით.

1949 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, სსრ კავშირში უმუშევრობა არ ყოფილა.

მრეწველობის მეტმა წილმა დარგებმა შეასრულეს სახელმწიფო გეგმით 1949 წლისათვის დაწესებული დავალება შრომის ნაყოფიერების გადიდებისა.

მრეწველობაში მუშათა შრომის ნაყოფიერება 1949 წელს 1948 წელთან შედარებით გაიზარდა 13 პროცენტით, აქედან მანქანათმშენებლობაში 15 პროცენტით, მეტალურგიულ მრეწველობაში — 14 პროცენტით, ქვანახშირის მრეწველობაში—12 პროცენტით.

1949 წელს სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლები და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები დაამთავრა 723 ათასმა ახალგაზრდა კვალიფიციურმა მუშამ, რომლებიც სამუშაოდ გაიგზავნენ მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე. ინდივიდუალურ-საბრიგადო მოწაფეობისა და საკურსო სწავლების გზით 1949 წელს მომზადდა ახალი კვალიფიციური კადრები და წარმოებაში კვალიფიკაცია აიმაღლა 6,6 მილიონმა კაცმა.

### IX. კულტურული მშენებლობა, ჯანმრთელობის დაცვა და საქალაქო კეთილმოწყობა

1949 წელს საბჭოთა ხალხმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სოციალისტური კულტურის ყველა დარგში.

წლის დამლევს დაწყებითს, შვიდწლიან და საშუალო სკოლებში, ტექნიკუმებში და სხვა სპეციალურ სასწავლებლებში სწავლობდა 36 მილიონზე მეტი კაცი, ესე იგი 2 მილიონით მეტი, ვიდრე 1948 წელს; ამასთან დაწყებითს, შვიდწლიან და საშუალო სკოლებში მოსწავლეთა რიცხვმა 1949 წელს გადააჭარბა მოსწავლეთა იმ რიცხვს, რაც ხუთწლიანი გეგმის კანონით ამ სკოლებისათვის დაწესებულია 1950 წლისათვის.

1949 წელს მუშაობდა 864 უმაღლესი სასწავლებელი. უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა რიცხვმა, დაუსწრებლად მოსწავლეთა ჩათვლით, მიაღწია 1.128 ათას კაცს, რაც სტუდენტთა ომამდელ რაოდენობას 316 ათასა კაცით აღემატება. ტექნიკუმებსა და სხვა საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მოსწავლეთა რიცხვი, დაუსწრებლად მოსწავლეთა ჩათვლით, შეადგენს 1.308 ათას კაცს, რაც ომამდელ რიცხვს 333 ათასი კაცით აღემატება.

უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების კურსდამთავრებულ სპეციალისტთა საერთო რაოდენობა, რომლებიც სახალხო მეურნეობაში მუშაობენ, 1949 წელს გადიდდა 1948 წელთან შედარებით და 68 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე ომამდელ 1940 წელს.

სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა რაოდენობა 1949 წელს 1940 წელთან შედარებით გადიდდა ერთნახევარჯერ, ხოლო ამ დაწესებულებების მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა—თითქმის ერთიორად.

1949 წელს ახლად აგებულ იქნა და გაფართოვდა საავადმყოფოები 38 ათასი საწოლით, ამასთან მნიშვნელოვნად გადიდდა რაოდენობა სამშობიარო საწოლებისა საავადმყოფოებში და სამშობიარო სახლებში. ექიმების რაოდენობა 1949 წელს 1948 წელთან შედარებით 26 ათასი კაცით გადიდდა. გაიზარდა რაოდენობა სასოფლო საექიმო უბნებისა და საფერშლო-სამეანო პუნქტებისა სოფლად.

1949 წელს საავადმყოფოებმა მნიშვნელოვანი რაოდენობით მიიღეს ახალი სამედიცინო მოწყობილობა და რთული აპარატურა.

სახელმწიფო საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ადგილობრივმა საბჭოებმა, აგრეთვე მოსახლეობამ სახელმწიფო კრედიტის დახმარებით 1946-1949 წლებში ააგეს და აღადგინეს 72 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის ბინები, გარდა ამისა სოფელ ადგილებში ოთხი წლის განმავლობაში აშენებული და აღდგენილია 2,3 მილიონი საცხოვრებელი სახლი.

1949 წელს დიდი მუშაობა წარმოებდა კომუნალური საწარმოების აღდგენისა და მშენებლობის და ქალაქებისა და მუშათა დაბების კეთილმოწყობის დარგში. სულ 1946-1949 წლების განმავლობაში ქალაქებსა და მუშათა დაბებში აღდგენილი და ახლად აგებულია 185 წყალსადენი, 27 ქალაქში შემოღებულია ტრამვაისა და ტროლეიბუსების მიმოსვლა. მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული ბინების გაზიფიკაციის, ქალაქის ქუჩებისა და მოედნების მოკირწყვლისა და მოასფალტების, პარკების, ბულვარებისა და სკვერების მშენებლობის დარგში.

### X. ნაციონალური შემოსავლისა და მოსახლეობის შემოსავლის ზრდა

სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი, შესადარ ფასებში, 1949 წელს 1948 წელთან შედარებით გაიზარდა 17 პროცენტით და ომამდელ 1940 წლისაზე 26 პროცენტით მეტი იყო.

ნაციონალური შემოსავლის ზრდამ შესაძლებელი გახადა მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის მატერიალური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება და ქალაქად და სოფლად სოციალისტური წარმოების შემდგომი გაფართოების უზრუნველყოფა.

სსრ კავშირის მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებამ გამოხატულება ჰპოვა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ზრდითა და როგორც საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მეურნეობიდან, ისე საკარმიდამო და პირადი მეურნეობიდან გლეხთა შემოსავლის გადიდებით. მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების ორგზის შემცირების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი და შემცირდა გლეხების ხარჯი სამრეწველო საქონლის ყიდვაზე.

გარდა ამისა, მოსახლეობამ 1949 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, სახელმწიფოს ხარჯზე მიიღო დახმარება და მუშა-მოსამსახურეთა სოციალური დაზღვევის გასაცემები, სოციალური უზრუნველყოფის პენსიები, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და საბავშვო დაწესებულებების საგზურები უფასოდ და შეღავათიან ფასებში, დახმარება მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისადმი, უფასო სამედიცინო დახმარება, უფასო სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება, მოსწავლეთა სტიპენდიები და მთელი რიგი სხვა გასაცემები და შეღავათები. შემდეგ, ყველა მუშამ და მოსამსახურემ მიიღო სულ მცირე ორკვირიანი შვებულება, რომლის საფასურსაც სახელმწიფო იხდის, ხოლო მთელი რიგი პროფესიების მუშაკებმა—უფრო ხანგრძლივი შვებულება. 1949 წელს მოსახლეობამ სახელმწიფოს ხარჯზე მიიღო აღნიშნული გასაცემები და შეღავათები 110 მილიარდ მანეთზე მეტი რაოდენობით, ესე იგი თითქმის ერთისამად მეტი, ვიდრე 1940 წელს.

მუშა-მოსამსახურეთა შემოსავალი, შესადარ ფასებში, ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით 1949 წელს 12 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 1948 წელს, და 24 პროცენტით გადიდდა 1940 წელთან შედარებით.

გლეხთა შემოსავალი, შესადარ ფასებში, სოფლის მეურნეობაში ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით 1949 წელს 14 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 1948 წელს, და 30 პროცენტზე მეტით გადიდდა 1940 წელთან შედარებით.

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.**

# კანდიდატთა წამოყენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში

## ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშაკებმა წამოაყენეს ოსტატ გიულ ბალა ალიევის კანდიდატურა

**ბაქო,** 16 იანვარი. (საქდესი). დღეს სტალინის სახელობის კულტურის სასახლეში მოვიდნენ მოწინავე ტრესტ „სტალინნეფტის“ მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, რათა განეხილათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატის წამოყენების საკითხი. კრებაზე გამოვიდა ტრესტ „სტალინნეფტის“ მეექვსე სარეწის გამგე ამხ. კ. აზიმოვი, რომელმაც თქვა:

— ჩვენს რაიონს სახელოვანი რევოლუციური ტრადიციები აქვს. დიდმა სტალინმა შექმნა და აღზარდა ბაქოსა და აზერბაიჯანის ბოლშევიკური ორგანიზაცია. დიდმა სტალინმა მიიყვანა ჩვენი სამშობლო სოციალიზმის გამარჯვებამდე. იგი შემოქმედია მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციისა, რომელსაც ხალხმა სტალინური კონსტიტუცია უწოდა. ამ კონსტიტუციის საფუძველზე 12 მარტს ჩვენ ავირჩევთ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს.

ამ დღისათვის ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშაკები ისე ემზადებიან, როგორც დიდი დღესასწაულისათვის. ჩვენი ტრესტი „სტალინნეფტი“ განუხრელად ადიდებს ნავთის მოპოვებას. ნავთის მრეწველობის ერთ-ერთი საუკეთესო მუშაკი, რომლითაც სამართლიანად ამაყობს სტალინის რაიონი და მთელი ბაქო, არის სოციალისტური შრომის გმირი, ჭაბურღილების კაპიტალური რემონტის უფროსი ოსტატი გიულ ბალა ალიევი. წინადადება შემომაქვს წამოვაყენოთ მისი კანდიდატურა ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში.

ამხ. აზიმოვის წინადადებას მხარი დაუჭირეს ინჟინერმა შ. მამედ ზადემ, პარტიის სტალინის რაიკომის მდივანმა ა. სერგეევმა, ოსტატმა ზ. აბდულაევმა, სატრაქტორო ბაზის დირექტორმა მ. ნაჯაფოვმა და სხვებმა.

საერთო კრებამ ერთხმად გადაწყვიტა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად წამოაყენოს სოციალისტური შრომის გმირი გიულ ბალა ალიევი და სთხოვოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს — დაამტკიცოს იგი ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრად.

## საპატიო მეტალურგი ლუპინოვი მაგნიტოგორსკელთა კანდიდატია

**მაგნიტოგორსკი,** 17 იანვარი. (საქდესი). დღეს აქ შედგა სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა ხალხმრავალი კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატის წამოყენებისადმი.

მაგნიტოგორსკის მეტალურგთა მრავალათასიანმა კოლექტივმა გადაწყვიტა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში კანდიდატად წამოაყენოს წარჩინებული მეფოლადე — მე-3 სამარტენო საამქროს ობეროსტატი ზაქარია პეტრეს-ძე ლუპინოვი.

— საპატიო მეტალურგს ზაქარია პეტრეს-ძე ლუპინოვს ჩვენ ვიცნობთ როგორც კარგ საწარმოო მუშას, რომელიც 20 წელზე მეტია, რაც მარტენის ღუმელთან მუშაობს, — თქვა კრებაზე გამოსულმა მეფოლადემ ამხ. პობელიანსკიმ. — ზაქარია პეტრეს-ძე წარმოებაში ჩქარი ფოლადდნობის მოწინავე მეთოდების დანერგვის ორგანიზატორია. თავდადებული შრომისათვის ამხ. ლუპინოვი დაჯილდოებულია ლენინისა და „წითელი ვარსკვლავის“ ორდენებით.

ამხ. ლუპინოვის კანდიდატურას მხურვალედ დაუჭირეს მხარი კრებაზე გამოსულებმა საპატიო მეტალურგმა — საბრძმედე საამქროს ოსტატმა ამხ. გორინოსტაევმა, სამარტენო საამქროს უფროსმა, ინჟინერმა ამხ. გარჩენკომ, ბლუმინგის ოპერატორმა ამხ. ტიშჩენკომ და სხვებმა.

კრებამ ერთსულოვნად გადაწყვიტა — ამხ. ლუპინოვი წამოაყენოს კანდიდატად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში და სთხოვოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაამტკიცოს ამხ. ლუპინოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრად.

## მწერლებმა წამოაყენეს ა. ა. ფადეევის კანდიდატურა

შედგა სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის სამდივნოს სხდომა მოსკოვის მწერალთა აქტივთან ერთად, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატების წამოყენებას.

მწერალმა ბ. გორბატოვმა შეიტანა წინადადება — ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში რეკომენდებულ იქნას სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გენერალური მდივნის, სტალინური პრემიის ლაურეატის, ცნობილ ნაწარმოებთა „განადგურების“, „უკანასკნელი უდეგედან“, „ახალგაზრდა გვარდიისა“ და სხვების ავტორის — ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე ფადეევის კანდიდატურა.

ამ წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი შეკრებილებმა. ერთხმად მიღებულ იქნა დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად წამოყენებულ იქნას ამხ. ა. ა. ფადეევი. (საქდესი).

## წარჩინებული ფეიქარი ალექსანდრა შტიროვა

17 იანვარს ტრიოხგორნაია მანუფაქტურის კოლექტივი შეიკრიბა ლენინის სახელობის კულტურის სახლში, რათა წამოეყენებინა კანდიდატი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში.

ტრიოხგორნაია მანუფაქტურის კოლექტივმა განსაკუთრებული ერთსულოვნობით მიიღო მონაწილეობა ამ ღირსშესანიშნავ კრებაში. უძველესი საწარმოს მემკვიდრეობითი ფეიქრები და ახალგაზრდა სტახანოველები მოვიდნენ აქ, რათა გამოეხატათ თავიანთი უდიდესი ერთგულება საბჭოთა მთავრობისადმი, დიდი სტალინისადმი — ჩვენი ხალხის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორისადმი.

ეს გრძნობები გამოხატა თავის სიტყვაში ამხ. ე. ვოროშინმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა ხალხი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ეგებება როგორც უდიდეს დღესასწაულს, როგორც მსოფლიოში იმ ყველაზე დემოკრატიული საბჭოთა კონსტიტუციის ზეიმს, რომლის შემოქმედია დიდი სტალინი.

ამხ. ვოროშინი წინადადებას იძლევა ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად დასახელებულ იქნას წარჩინებული ფეიქარი, მრავალდაზგოსანი ალექსანდრა მიხეილის ასული შტიროვა.

მის შემდეგ გამოსულმა ამხანაგებმა ტ. სუდაკოვამ, ზ. მენშიკოვამ, ა. დურნიაშოვამ და სხვებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ამხ. შტიროვას კანდიდატურას.

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 36-ე მუხლის საფუძველზე ტრიოხგორნაია მანუფაქტურის კომბინატის მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების საერთო კრებამ გადაწყვიტა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად წამოყენებულ იქნას ფეიქარი ამხ. ალექსანდრა მიხეილის ასული შტიროვა და ეთხოვოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაამტკიცოს იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრად. (საქდესი).

## სომხეთის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირი კანდიდატად ასახელებს ამხ. კ. მ. დრამიანს

**ერევანი,** 17 იანვარი. (საქდესი). დღეს სომხეთის სსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე განიხილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატის წამოყენების საკითხი.

კავშირის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. ა. ყაზარიანმა წინადადება შეიტანა ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად წამოყენებულ იქნას სომხეთის სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი კარინე მელქონის ასული დრამიანი.

— მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში თავდადებული და უნაკლო მუშაობისათვის კ. მ. დრამიანი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, — ამბობს ამხ. ყაზარიანი. — თავისი სიცოცხლის 30 წელზე მეტი მან მოახმარა საყვარელ საქმეს. ათასობით მისი მოწაფე მადლობით იხსენიებს თავის მასწავლებელს.

ამხ. ყაზარიანის წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი რესპუბლიკის განათლების მინისტრმა ს. მიქაელიანმა, მასწავლებელმა ს. სააკიანმა და სხვებმა.

პლენუმის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება, რომელშიც ნათქვამია: „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 36-ე მუხლის თანახმად სომხეთის სსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად წამოყენებულ იქნას ამხ. კარინე მელქონის ასული დრამიანი და ეთხოვოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაამტკიცოს იგი ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრად.

## რიგის მშრომელებმა წამოაყენეს ექიმ ვ. კ. ელსისის კანდიდატურა

**რიგა,** 16 იანვარი. (საქდესი). დღეს აქ შედგა მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ლატვიის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა. სხდომაზე მოვიდნენ ლატვიის დედაქალაქის საავადმყოფოების, პოლიკლინიკების და ჯანმრთელობის დაცვის სხვა დაწესებულებათა მუშაკები.

მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა ექიმმა ე. ოზოლინმა წინადადება წამოაყენა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წამოყენებულ იქნას რიგის მეორე საქალაქო პოლიკლინიკის მთავარი ექიმის ვილმა კრისტალის ასულ ელსისის კანდიდატურა. ამხ. ოზოლინმა დაახასიათა იგი, როგორც მედიცინის ერთ-ერთი ყველაზე პატივცემული მოღვაწე, ლატვიელი ხალხის ერთგული შვილი, აქტიური საზოგადო მუშაკი.

ამხ. ოზოლინის წინადადებას მხარი დაუჭირეს პოლიკლინიკის ადგილკომის თავმჯდომარემ ა. ზაულსმა, მედიცინის დამ ტობიესმა, ფერშალმა რ. რექსტინმა, ექიმმა ე. კაზაკმა.

ამხ. ვ. კ. ელსისი ერთხმად წამოყენებულ იქნა კანდიდატად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში.

## კარელიის წარჩინებული ელექტრომხერხავი ა. პ. გოტჩიევი

**პეტროზავოდსკი,** 17 იანვარი. (საქდესი). დღეს შედგა ხე-ტყის დამზადების მუშების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა. განიხილავდნენ საკითხს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატის წამოყენების შესახებ.

რესპუბლიკური კომიტეტის მუშაკმა ამხ. ევდოკიმოვმა წინადადება შეიტანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში კანდიდატად წამოყენებულ იქნას ამხ. ალექსი პავლეს-ძე გოტჩიევი.

— ალექსი პავლეს-ძე გოტჩიევი მუშაობს მედვეჟიეგორსკის სატყეო მრეწველობის მეურნეობის ელექტრომხერხავთა ბრიგადირად, — თქვა ამხ. ევდოკიმოვმა, — კარელიის ტყეში იგი ახალგაზრდობიდანვე მუშაობს. სატყეო მრეწველობაში ახალი ტიპების ელექტროხერხის შემუშავებისა და დანერგვისათვის მას მიენიჭა სტალინური პრემიის ლაურეატის მაღალი წოდება. წლევანდელ საშემოდგომო - საზამთრო სეზონში, მუშაობს რა ნაკადური მეთოდით, ამხ. გოტჩიევმა იკისრა 25 ათასი კუბმეტრი ხე-ტყე დაამზადოს. წარჩინებული ელექტრომხერხავი წარმატებით ასრულებს თავის ვალდებულებას. ამხ. გოტჩიევი აქტიური საზოგადო მუშაკია.

სხდომის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად წამოყენებულ იქნას ამხ. ალექსი პავლეს-ძე გოტჩიევი და ეთხოვოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაამტკიცოს იგი ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრად.

## რსფსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან დასახელებულია ამხ. ი. ა. კაიროვის კანდიდატურა

17 იანვარს რსფსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილავდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატის დასახელების საკითხს.

პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ი. ი. გრივკოვმა სხდომა გახსნა და წინადადება შეიტანა რუსეთის ფედერაციის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად დასახელებულ იქნას რსფსრ განათლების მინისტრი ამხ. ი. ა. კაიროვი.

ყველა გამოსულმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ამ კანდიდატურას.

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 36-ე მუხლის თანახმად ერთსულოვნად გადაწყდა — რსფსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად დასახელებულ იქნას ამხ. ივანე ანდრიას-ძე კაიროვის კანდიდატურა და ეთხოვოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაამტკიცოს იგი ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრად.

(საქდესი).

# კანდიდატთა წამოყენება ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში

## ამხ. ნიკოლოზ ანდრიას-ძე ყიფშიძე — კანდიდატი ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში

მედიცინის მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი ეროვნებათა საბჭოს არჩევნების რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატის დასახელების შესახებ. ამხ. ს. გ. კობალაძემ წინადადება შეიტანა კანდიდატად დასახელებულ იქნას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ამხ. ნიკოლოზ ანდრიას-ძე ყიფშიძე.

ამხ. ნ. ა. ყიფშიძე გამოჩენილი მეცნიერია. მისი, როგორც შესანიშნავი ექიმის, სახელი ცნობილია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. ხელმძღვანელობს რა სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტისა და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თერაპიულ კათედრებს, მან არა ერთი და ორი სპეციალისტი აღუზარდა სამშობლოს. ნ. ა. ყიფშიძე დაუღალავ მეცნიერულ მუშაობას ეწევა. მის კალამს 50-მდე მეცნიერული შრომა ეკუთვნის. დიდ სამეცნიერო მუშაობასთან ერთად იგი აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ მუშაობაში, არის სსრ კავშირის მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ღირსეულად ამართლებს ხალხის მსახურის საპატიო სახელს. ამავე დროს ის ითვლება საქართველოს სამედიცინო სამეცნიერო საბჭოს და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს წევრად.

ნ. ა. ყიფშიძე დაჯილდოებულია ლენინის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და რამდენიმე მედლით.

ნ. ა. ყიფშიძის კანდიდატურას მხურვალედ დაუჭირეს მხარი ამხ. მ. კლდიაშვილმა, პ. გელბახიანმა და ვ. გურგენიძემ.

მედიცინის მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა ერთსულოვნად მიიღო დადგენილება: „წამოყენებულ იქნას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ნიკოლოზ ანდრიას-ძე ყიფშიძის კანდიდატურა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში“.

## ამხ. ლევან ბეგლარის-ძე აივაზოვი ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის კანდიდატია

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში შედგა მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კრება, რომელიც მიეძღვნა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატის წამოყენებას.

საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. კ. კორტავამ ინფორმაციისათვის სიტყვა მისცა ქარხნის დირექტორს ამხ. გ. ბერძენიშვილს.

ტრიბუნაზე ავიდა საინსტრუმენტო საამქროს სტახანოველი ზეინკალი ამხ. შ. ომანიძე. მან წინადადება შეიტანა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად წამოყენებულ იქნას ქარხნის მთავარი ინჟინერი ამხ. ლევან ბეგლარის-ძე აივაზოვი.

— ჩვენ ყველა ვიცნობთ ლევან ბეგლარის-ძე აივაზოვს, — თქვა ამხ. ომანიძემ, — როგორც ერთ-ერთ საუკეთესო მუშაკს. იგი 1932 წლიდან ჩვენს ქარხანაში მუშაობს. აქ გაიარა მან სახელოვანი გზა რიგითი ინჟინრიდან ქარხნის მთავარ ინჟინრამდე. ამ თანამდებობაზე უკვე 11 წელია მუშაობს და ქარხნის კოლექტივის საერთო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს.

სასხმელო საამქროს უფროსი ამხ. ს. მაჩაიძე და მექანიკური საამქროს კონტროლიორ-ოსტატი ხ. სტეფანიანი მხარს უჭერენ ლევან ბეგლარის-ძე აივაზოვის კანდიდატურას ეროვნებათა საბჭოს არჩევნების რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში.

ქარხნის კოლექტივის საერთო კრებამ ერთსულოვნად დაადგინა წამოაყენოს ლევან ბეგლარის-ძე აივაზოვი კანდიდატად ეროვნებათა საბჭოს არჩევნების რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიმართა თხოვნით — დაამტკიცოს ამხანაგი ლ. ბ. აივაზოვი ეროვნებათა საბჭოს არჩევნების რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის წევრად.

## ამხ. ანა მათეს ასული ბაბილოძე — კანდიდატი ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში

16 იანვარს მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელში შედგა კოლმეურნე გლეხთა საერთო კრება, მიძღვნილი ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატის დასახელებისადმი. ინფორმაციით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი ამხ. ა. გობრონიძე.

კრებაზე პირველი სიტყვა წარმოსთქვა მოწინავე ბრიგადირმა ამხ. შ. ქუტიძემ. მან წინადადება შეიტანა წამოყენებულ იქნას ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში მოწინავე მერგოლურის, ჩაის უხვი მოსავლის ოსტატის, სოციალისტური შრომის გმირის ამხ. ანა მათეს ასული ბაბილოძის კანდიდატურა.

კრებაზე სიტყვები წარმოთქვეს და ამხ. ქუტიძის წინადადებას მხარი დაუჭირეს კოლმეურნეებმა ვ. ნაკაიძემ, შ. ბაქანიძემ, კ. ლომიძემ, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. ვ. ჯაბუამ და სხვებმა. მათ ამხ. ა. ბაბილოძე დაახასიათეს როგორც სამაგალითო კოლმეურნე, საზოგადოებრივი მეურნეობის აღმავლობისათვის დაუღალავი მებრძოლი.

კრებამ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება წამოყენებულ იქნას ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურის, სოციალისტური შრომის გმირის ანა მათეს ასული ბაბილოძის კანდიდატურა.

## ამხ. მიხეილ ილიას-ძე მექვევრიშვილი წამოყენებულია კანდიდატად ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში

გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში შედგა ხალხმრავალი კრება, რომელსაც 300-მდე კაცი დაესწრო.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის მდივანი ამხ. ი. ფეიქრიშვილი, რომელმაც ილაპარაკა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნების მნიშვნელობის შესახებ.

შემდეგ სიტყვა აიღო კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. გ. გომშიაშვილმა. მან წინადადება შეიტანა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წამოყენებულ იქნას სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის სოციალისტური შრომის გმირის ამხ. მიხეილ ილიას-ძე მექვევრიშვილის კანდიდატურა.

კოლმეურნეებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ამხ. გომშიაშვილის წინადადებას.

კრებამ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება — წამოყენებულ იქნას მიხეილ ილიას-ძე მექვევრიშვილის კანდიდატურა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში.

# კანდიდატთა წამოყენება კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებში

## ამხ. კონსტანტინე მიხეილის-ძე ილურიძის კანდიდატურა წამოყენებულია კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრებამ განიხილა კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატურის წამოყენების საკითხი.

კრებაზე სიტყვას პირველი იღებს ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. გ. გეგეშიძე, რომელმაც წინადადება შეიტანა კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის სტალინის № 598 ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წამოყენებულ იქნას ამავე ქარხნის სახელოვანი მჭედლის ამხ. კონსტანტინე მიხეილის-ძე ილურიძის კანდიდატურა.

დედაქალაქის ამ უძველეს საწარმოში ამხ. კ. ილურიძე 1930 წლიდან მუშაობს. იგი არის სტალინური გაწვევის დამკვრელი, ქარხნის ერთ-ერთი პირველი სტახანოველი. მას კარგად იცნობენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, როგორც მაღალნაყოფიერი, პატრიოტული შრომის ოსტატს, წარმოების ნოვატორს, რომელმაც უკან მოიტოვა ძველი ნორმები და ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის განვლილ პერიოდში 11 წლის ნორმა გამოიმუშავა. სტახანოვური შრომისათვის ამხ. კ. ილურიძე დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“, აგრეთვე „საპატიო რკინიგზელისა“ და „სტალინური გაწვევის დამკვრელის“ ნიშნებით. ამხ. კ. ილურიძე არის საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის წევრი.

ამხ. გ. გეგეშიძის წინადადებას მხარი დაუჭირეს ამწყობი საამქროს ზეინკალმა შ. კაპანაძემ და მექანიკური საამქროს ხარატმა ს. ზარიძემ.

კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის სტალინის № 598 ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ამხ. კონსტანტინე მიხეილის-ძე ილურიძის კანდიდატურის წამოყენების შესახებ და სთხოვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაამტკიცოს იგი ამ კომისიის შემადგენლობაში.

## აკადემიკოსი ილია ნესტორის-ძე ვეკუა — კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის ბერიას № 599 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის კანდიდატი

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ მუშაკთა, სტუდენტთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის საერთო კრებამ განიხილა საკითხი კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის ბერიას № 599 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატის წამოყენების შესახებ.

პროფესორმა გ. ჭოლოშვილმა კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის ბერიას № 599 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წამოაყენა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფესორ ილია ნესტორის-ძე ვეკუას კანდიდატურა.

ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს პროფესორმა ა. ხარაძემ, დოცენტმა ო. ჭანუყვაძემ და ასისტენტმა გ. ალექსანდრიამ.

კრებამ მიიღო გადაწყვეტილება კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის ბერიას № 599 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წამოყენებულ იქნას პროფესორ ილია ნესტორის-ძე ვეკუას კანდიდატურა.

## ამხ. გიორგი ივანეს-ძე ლუარსაბოვი — ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის 26 კომისრის № 146 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის კანდიდატი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომმა განიხილა საკითხი ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 26 კომისრის № 146 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატის წამოყენების შესახებ.

რაიკომმა მიიღო გადაწყვეტილება ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის 26 კომისრის № 146 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წამოყენებულ იქნას რაიკომის პირველი მდივნის ამხ. გიორგი ივანეს-ძე ლუარსაბოვის კანდიდატურა.

## საქართველოს საბჭოთა მწერლების გამგეობის პრეზიდიუმმა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 143 საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად წამოაყენა მწერალი ი. ო. მოსაშვილი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა განიხილა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 143 საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატის დასახელების საკითხი.

კრებამ მიიღო დადგენილება ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 143 საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წამოყენებული იქნას მოწინავე საბჭოთა მწერლის ილო ონისიმეს-ძე მოსაშვილის კანდიდატურა.

# ᲛᲝᲕᲔᲛᲖᲐᲓᲝᲗ ᲡᲐᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲗᲔᲡᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

წელს კასპის რაიონში შარშანდელზე ბევრად მეტი მარცვლეული და სხვა კულტურები უნდა დაითესოს. მნიშვნელოვნად უნდა გადიდდეს მოსავლიანობაც. ამ ამოცანების გადასაწყვეტად მოწინავე კოლმეურნეობები და კოლმეურნეები წარმატებით ემზადებიან. მაგრამ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის მზადების საქმეში ბევრგან ჩამორჩენაცაა.

მიუხედავად იმისა, რომ ტრაქტორების და მისაბმელი ინვენტარის რემონტის გასული წლის მეოთხე კვარტალის დავალება კასპის მტს-ს (დირექტორი ი. ბაკურაძე, მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში შ. დაბრუნდაშვილი) ნახევარზე მეტად არ შეუსრულებია, მტს-ში მუშაობა ახლაც ნელი ტემპით მიმდინარეობს. 24 ტრაქტორიდან 12 შეუკეთებელია. ასეთივე მდგომარეობაა მისაბმელი ინვენტარის შეკეთებაშიც. ამასთან რემონტიდან გამოშვებულ 7 ტრაქტორს თვითეულს 15-19 ნაკლი აღმოაჩნდა და დამატებითი შეკეთება დასჭირდა. ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ის არის, რომ მტს-ს არა ჰყავს ზეინკალი, ჩამომსხმელ-შემდუღებელი, კონტროლიორ-მექანიკოსი, დამვლელი მექანიკოსი, სასოფლო-სამეურნეო მანქანების მექანიკოსი, ნორმადარი, მეიარაღე და სხვ. გარდა ამისა, აქ არა აქვთ რემონტისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები: საკისარები, კბილანები, ცილინდრები, გუთნების თვლები და მრავალი სხვა. დღემდე მათ შესაძენად სოფლის მეურნეობის სამინისტროდან თანხებიც ვერ მიიღეს. მოუწყობელია სახელოსნოც: არ ჰყოფნით ქლიბები, მჭრელები, სახვრეტები და ბევრი სხვ., რის გამოც სახელოსნოში არ წარმოებს მუშაობა ბრიგადულ-კვანძური მეთოდით.

ტრაქტორებისა და მისაბმელი ინვენტარის რემონტს ისიც უშლის ხელს, რომ ტრაქტორისტთა შორის სუსტია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, არის შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. მეხუთე ბრიგადის ტრაქტორისტმა გ. გელიშვილმა დეკემბრის ბოლო რიცხვებში უმიზეზოდ 6 დღე გააცდინა; დეკემბერში სამუშაოდან წავიდნენ ტრაქტორისტები მ. ნაცვლაშვილი და ე. ჯიმშერაშვილი, 7 იანვრიდან კი—ს. ჩიტაშვილი.

მტს-ში მოუგვარებელია საყოფაცხოვრებო პირობები. საერთო საცხოვრებლისათვის გამოყოფილი ორი პატარა ოთახი ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ამიტომ ტრაქტორისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებულია თოვლში, ყინვასა და ქარში სოფლებში წავიდეს ღამის გასათევად და დილის 6 საათზე დაბრუნდეს. ამასთან მტს-ის შენობათა დიდი ნაწილი რაიონის სხვა ორგანიზაციებს უკავიათ. სახელოსნოსთან არსებული სასადილო ცუდად მუშაობს. არის აგრეთვე კოლმეურნეობების მიერ ტრაქტორისტებისათვის შრომადღეებზე კუთვნილი პროდუქტების მიცემის გაჭიანურების შემთხვევები (სოფელ მეორე ოკამის, ალაიანის, თეზისა და ხიდისყურის კოლმეურნეობები).

მტს-ში ნაკლები ყურადღება ექცევა კადრების მომზადებას. ტრაქტორისტებად, ნაცვლად 20 კაცისა 10 მზადდება.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო ნაკლებ რეალურ დახმარებას უწევს მტს-ს. მართალია, აქ ამ ბოლო ხანებში აღნიშნული სამინისტროდან ხშირად მოდიან პასუხისმგებელი მუშაკები, მაგრამ უმთავრესად მხოლოდ ცნობების აღებით კმაყოფილდებიან.

რაიონში ჩამორჩენილია საგაზაფხულოდ საჭირო თესლის გაწმენდა-მომზადება. მიუხედავად იმისა, რომ გაწმენდისა და პირველი შემოწმების ვადა 1 იანვარს ამოიწურა, 2.000 ცენტნერი ქერის თესლიდან კონდიციურია მხოლოდ ერთი მეათედი, ხორბლის თესლიდან კი—ერთი მეხუთედი. საკვები ბალახებიდან—ფიგას თესლი 100 ცენტნერის რაოდენობით რაიონში მთლიანად გაუწმენდავია, ხოლო უგრეხელის 173 ცენტნერი თესლიდან, გარდა 8 ცენტნერისა, დასარევლიანებულია.

მიუხედავად იმისა, რომ ახლა სოფლად განსაკუთრებით ბევრი თავისუფალი მუშახელია, ქერის თესლი სრულებით არ გაუწმენდიათ სოფელ ფერმის ვოროშილოვის სახელობის (თავმჯდომარე ა. ალიოღლი), პარეტისის (თავმჯდომარე ი. ბედოიძე), საკურთხის (ვ. ჯანიაშვილი), ქვემო გომის (ა. ზავრადაშვილი), ნიაბის (ს. ბიძინაშვილი) და დოესის (რ. ხორბალაძე) კოლმეურნეობებს.

ზოგან ნაკლები ყურადღება ექცევა თესლის ხარისხს. სოფელ ქვემოჭალის იმ კოლმეურნეობამ, სადაც თავმჯდომარეა ა. მაჭარაშვილი 116 ცენტნერი ქერის თესლი ისე „გაწმინდა", რომ თესლი მთლიანად უკონდიციო აღმოჩნდა. ასევე უხარისხოდ გაწმინდეს სოფელ ლამისყანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ს. ნაპოვნაშვილი) 90 ცენტნერი ქერის თესლი, სოფელ ნიგოზას ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. ბედოშვილი) 76 ცენტნერი თესლი. ამ მხრივ ნაკლოვანებანი არის აგრეთვე სოფელ ხოვლეს, მეტეხის, ახალციხის, ნოსტეს, ხვითის, ჩობალაურის, ზემო რენეს კოლმეურნეობებშიც. მსგავსი მდგომარეობაა ხორბლის თესლის გაწმენდა-შემოწმებაში.

თესლის გასაწმენდად ჯერ ბევრგან ტრიერიც არ მოუმზადებიათ. კოლმეურნეობებში 52 ტრიერიდან 18 შეუკეთებელია. ზოგიერთმა კოლმეურნეობამ მართალია ტრიერის შეკეთებისათვის ფული გაიღო, მაგრამ რემონტის ხარისხს ყურადღება არ მიაქცია და მანქანა გამოუყენებელია. ასეა, მაგალითად, ზემო რენეს, ქვემო ხანდაკის, პანტიანის, ბოკამის, ქვემო გოსტიბეს, გოგოთის, ზემო ჩოჩეთის, ოკამის, ლამისყანის, ციხის ძირის, იდლეთის და სხვა კოლმეურნეობებში, ამასთან თვითეულ მათგანს ათეულ და ოცეულ ცენტნერობით თესლი გაუწმენდავი აქვს.

რაიონში საკმაო რაოდენობით მოიპოვება როგორც ფიგის, ისე უგრეხელის თესლი, მაგრამ მისი შეძენისათვის ბევრი კოლმეურნეობა არ ზრუნავს. რაიონის 37 კოლმეურნეობას ფიგის თესლი არ მოუმარაგებია, მოსალოდნელია განმეორდეს გასული წლის მაგალითი, როცა ბალახების თესვის გეგმები რაიონში შეუსრულებელი დარჩა.

უგრეხელის თესლი გაუწმენდავია 26 კოლმეურნეობაში (ხოვლე, მეტეხი, ყარალაჯი და სხვ.), 41 კოლმეურნეობაში კი მისი შეძენისთვისაც არ უზრუნიათ. მარტო დოესის კოლმეურნეობას, სადაც თავმჯდომარეა დ. მესწროფაშვილი, 10 ცენტნერი უგრეხელის თესლი აკლია.

რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებში ჩამორჩენაა გუთნების შეკეთებაში: გეგმით გათვალისწინებული 279 გუთნიდან ერთ მეხუთედზე მეტი შეუკეთებელია. რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილებას ცნობებიც კი არ მოეპოვება, თუ სად როგორ მუშაობენ სამჭედლოები, და ამ მდგომარეობას აქ იმით ხსნიან, რომ განყოფილების გამგე შვებულებაშია; ამასთან განყოფილებაში არა ჰყავთ უფროსი აგრონომი, მევენახეობის, მეხილეობა-მებოსტნეობის, მეჭარხლეობის აგრონომები და ოთხი ზოოტექნიკოსი.

შარშან გაჭიანურებული ზამთრისა და ცუდი მოვლის გამო რაიონში ადგილი ჰქონდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ზარალის შემთხვევებს. აქედან მნიშვნელოვან ნაწილს ხარები შეადგენდნენ. ამ ფაქტიდან სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ რაიონში. კოლმეურნეობებში მუშა საქონლის მოვლას ამთავითვე სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. ამ მხრივ განსაკუთრებული მზრუნველობა მართებთ მთის ზონის კოლმეურნეობებს, რომლებსაც მტს-ები ვერ ემსახურებიან. დასუსტებული ხარები დიდი რაოდენობით ჰყავთ ხიდისყურის, წინარეხის, ნოსტეს, ერთაწმინდის და სხვა კოლმეურნეობებს.

ამოცანა ის არის, რომ მთლიანად გამოვიყენოთ ზამთრის ხელსაყრელი პირობები ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების რემონტისათვის, თესლის, მუშასაქონლისა და სხვათა დროზე მომზადების უზრუნველყოფისათვის.

შევქმნათ ყველა პირობა წელს ყველა კულტურის უხვი მოსავლის მისაღებად.

**ტ. თოდრაძე**

# ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲛᲝᲜᲢᲘ

გეგმით პირველ თებერვლამდე შესაკეთებელი ტრაქტორები 15 იანვრისათვის უკვე გამოუშვა რემონტიდან საქართველოს 9 მტს-მა, მათ შორის თელეთის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ვაჩიანის, ჩხარის, წნორის, დუშეთის და სხვა მტს-ებმა.

რესპუბლიკის სამმა მტს-მა ტრაქტორების რემონტის წლიური გეგმაც შეასრულა. ბოგდანოვკის მტს-ში ტრაქტორების რემონტის წლიური გეგმა შესრულებულია 117,5 პროცენტით. თელეთის მტს-ში წლიური დავალება 106,7 პროცენტით არის შესრულებული, ჩხარის მტს-ში — 100 პროცენტით. წლიური გეგმები 80-ზე მეტი პროცენტით არის განაღდებული ახალქალაქის, ზესტაფონის, გეგეჭკორის, ვაჩიანის, გუდაუთისა და სამტრედიის მტს-ებში, ხოლო 70-ზე მეტი პროცენტით — ახალსოფლის, დუშეთის, თიანეთის, წნორის, წითელწყაროს, თელავის, ახმეტის, ლაგოდეხის, გალის, ოჩამჩირის, ცხაკაიას პირველ, ქუთაისის, წულუკიძის, ქარელისა და რუისის მტს-ებში.

ცხაკაიას მეორე მტს-ს გეგმით გათვალისწინებული ხუთივე ტრაქტორი შეუკეთებელი აქვს, გორის მტს-ში 30 ტრაქტორიდან მხოლოდ ორი შეაკეთეს. კაჩაგანის მტს-მა დავალება 40 პროცენტით შეასრულა, მცხეთისამ — 47,6, ბორჩალოს მტს-მა — 48,9 პროცენტით.

ტრაქტორების რემონტის წლიური გეგმის შესრულება 50-60 პროცენტსაც ვერ აღწევს იორის, კასპის, შინდისის, შულავრის, აფენის, ალაზნის, კაჯრეთის, გურჯაანის, ასურეთის, ბაშკიჩეთის, ქსუისის, ხობის, ზუგდიდის, გულრიფშის, ქობულეთისა და ტამიშის მტს-ებში.

# ᲩᲘᲜᲔᲗ-ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲚᲔᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

**ᲞᲔᲙᲘᲜᲘ,** 17 იანვარი. (საკდესი). ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება ემზადება, რომ ფართოდ აღნიშნოს ლენინის დღეები პეკინში. 21 იანვარს ჯუიფის უნივერსიტეტში შედგება საზეიმო-სამგლოვიარო სხდომა, რომელზეც სიტყვას წარმოთქვამს საზოგადოების გენერალური მდივანი ციან ძიუნ-ჟუი. ორი დღის განმავლობაში პეკინში ნაჩვენები იქნება საბჭოთა ფილმები: „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი" და „თოფიანი კაცი".

21-23 იანვარს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება მოაწყობს ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ ფოტოგამოფენას.

პეკინის რადიოსადგურები სამი დღის განმავლობაში მოაწყობენ სპეციალურ რადიოგადაცემას ვ. ი. ლენინის შესახებ.

ჟურნალ „ეპოქის" მორიგი ნომერი მიძღვნილია ვ. ი. ლენინისადმი. ჟურნალში ლენინის შესახებ სტატიებთან ერთად გამოქვეყნებულია თარგმანი ვლადიმერ ილიას-ძის წერილებისა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისადმი, აგრეთვე სხვა მასალები.

# ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲚᲔᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲜᲦᲝᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

**ᲣᲚᲐᲜ-ᲑᲐᲢᲝᲠᲘ,** 16 იანვარი. (საკდესი). მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ფართოდ გაჩაღდა მზადება ლენინის დღეებისათვის. ულან-ბატორში და ყველა აიმაკში ეწყობა მრავალი საუბარი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, აგრეთვე თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული აყვავებისათვის ბრძოლაში მონღოლი ხალხისადმი ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის უდიდესი დახმარების შესახებ.

გამოსაქვეყნებლად მზადდება მონღოლურ ენაზე თარგმნილი ვ. ი. ლენინის შრომები „რა ვაკეთოთ?", „სახელმწიფო და რევოლუცია" და სხვა ნაწარმოებნი, აგრეთვე კრებული ამხანაგ ი. ბ. სტალინის ნაწარმოებებისა ლენინის შესახებ.

კლუბებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში, წითელ კუთხეებში მოწყობილია ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენები.

# ᲢᲐᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘ ᲝᲥᲠᲝ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲘᲒᲖᲐᲕᲜᲐ

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ.** 17 იანვარი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" გადმოგვცემს, მიღებული ცნობებით ტრანს-ატლანტიკის საჰაერო მიმოსვლის საზოგადოების საშუალებით იაპონიიდან ნიუ-იორკის ფედერალურ სარეზერვო ბანკში გაიგზავნა 40 ტონა ოქროს ზოდი 45 მილიონზე მეტი დოლარის ღირებულებისა. ეს ზოდები ტაის მთავრობას ეკუთვნის.

გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი" ათავსებს ანალოგიურ ცნობას და დასძენს, რომ, როგორც ფედერალური სარეზერვო ბანკის წარმომადგენელმა აღნიშნა, ტაის მთავრობას შეუძლია ამ ოქროთი შეიძინოს ამერიკული დოლარები. გაზეთი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ხმებია, თითქოს ტაის მთავრობა აპირებს ამ ოქროთი იყიდოს ამერიკული იარაღი.

# ᲡᲐᲙᲝᲜᲪᲔᲜᲢᲠᲐᲪᲘᲝ ᲑᲐᲜᲐᲙᲔᲑᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ

**ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ,** 17 იანვარი. (საკდესი). ადნის სააგენტო გადმოგვცემს, რომ დასავლეთის საოკუპაციო ხელისუფალთ ჯერაც არ გაუციათ პასუხი იმ კითხვაზე, თუ სად გაქრა დასავლეთ ბერლინის ათასი მცხოვრები, რომლებიც დასავლეთის საოკუპაციო სახელმწიფოთა საიდუმლო სამსახურმა დააპატიმრა ან დასავლეთ ბერლინის პოლიციის პოლიტიკურმა განყოფილებამ დასავლეთ სახელმწიფოებს გადასცა სამართალში მისაცემად. დასავლეთ ბერლინის პოლიციის ხელმძღვანელი შტუმი, რომელიც ამას წინათ ჩავიდა დასავლეთ გერმანიაში, იძულებული გახდა დაედასტურებინა, რომ დასავლეთ გერმანიაში არის საკონცენტრაციო ბანაკები „პოლიტიკურად არასაიმედო გერმანელი ელემენტებისათვის". შტუმმა განაცხადა, რომ თვალისასახვევად ამ ბანაკებს ეწოდებათ არა საკონცენტრაციო, არამედ „შესამოწმებელი" ბანაკები.

ამ ბანაკების მეტი წილი, აღნიშნავს ადნის სააგენტო, ოკუპაციის ამერიკულ ზონაშია.

# ᲩᲘᲜᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲒᲝᲛᲘᲜᲓᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲓᲔᲕᲜᲐᲡ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲓᲐᲜ

**ᲞᲔᲙᲘᲜᲘ.** 17 იანვარი. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, რომ პეკინის გაზეთები თვალსაჩინო ადგილზე აქვეყნებენ სტატიებს, რომლებითაც მხარს უჭერენ საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსათვის გაგზავნილ განცხადებას, რომლითაც მან მოითხოვა საბჭოს შემადგენლობიდან გარიცხონ გომინდანელთა ჯგუფის წარმომადგენელი.

გაზეთი „ჟენმინჟიბაო" აქვეყნებს ჩრდილო-აღმოსავლეთის მთელი რიგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების — პროფკავშირთა საბჭოს, ქალთა დემოკრატიული კავშირის, დემოკრატიული ახალგაზრდობის კავშირის შექმნის მოსამზადებელი კომიტეტის, სტუდენტთა კავშირისა და სხვა ორგანიზაციების განცხადებებს. ყველა ამ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ჩინელი ხალხი ვეღარ მოითმენს იმ გარემოებას, რომ განადგურებული გომინდანელთა ჯგუფის წარმომადგენელი კვლავ იმყოფებოდეს უშიშროების საბჭოში. ჩრდილო-აღმოსავლეთის პროფკავშირთა საბჭოს განცხადებაში ნათქვამია, რომ სამართლიანი პოზიცია, რომელიც უშიშროების საბჭოში საბჭოთა კავშირს უკავია, კვლავ ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირი ჩინელი ხალხის ერთგული მეგობარია.

გაზეთი „ძინბუჟიბაო" წერს, რომ უშიშროების საბჭოში „ჩვენ ვხედავთ მკვეთრ საზღვარს საერთაშორისო ასპარეზზე ორ ბანაკს შორის და ვიცით რომელი ბანაკი უწვდის მეგობრულ ხელს ჩინელ ხალხს".

გაზეთ „ჟენმინჟიბაოს" მოწინავე სტატიაში ნათქვამია:

ჩინელი ხალხი გადაჭრით ამბობს უარს ცნოს ძიან ტინ-ფუს ეგრეთწოდებული „დელეგაციის" არსებობა, რადგან იგი არასოდეს არ წარმოადგენდა ჩინელ ხალხს, მით უმეტეს, რომ გომინდანის რეაქციული მთავრობა, რომელსაც ის წარმოადგენდა, აღარ არსებობს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში ყოფნა ამ „დელეგაციისა", რომელიც არავის არ წარმოადგენს, მხოლოდ იმით აიხსნება, რომ მას მხარს უჭერენ ამერიკის იმპერიალიზმი და მისი ხელქვეითნი.

ჩვენ უნდა გავაფრთხილოთ ამერიკელი იმპერიალისტები, რომ ყველა მათი ღონისძიება უშედეგო აღმოჩნდება. ჩინეთი გახდა ჩინელი ხალხის ქვეყანა, და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა ერთადერთი კანონიერი მთავრობაა, რომელიც წარმოადგენს ჩინელ ხალხს. მხოლოდ თვით ჩინელი ხალხის წარმომადგენელია უფლებამოსილი ადგილი ეკავოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში. მხოლოდ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობით იქნება გამართლებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და უშიშროების საბჭოს სახელწოდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მხოლოდ ამერიკის იმპერიალიზმის იარაღი იქნებიან.

# ᲯᲔᲡᲔᲞᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ ᲩᲐᲜ ᲙᲐᲘ-ᲨᲘᲡᲗᲐᲜ ᲤᲝᲠᲛᲝᲖᲐᲖᲔ

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ,** 17 იანვარი. (საკდესი). ამერიკული პრესის ცნობებით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ჯესეპი კვლავ ეთათბირება გომინდანელთა ჯგუფის წარმომადგენლებს ფორმოზაზე. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ტაიპეიდან (ფორმოზა) გადმოგვცემს, 16 იანვარს ჯესეპი საათნახევრის განმავლობაში ეთათბირებოდა ჩან კაი-შის. კორესპონდენტი გადაკვრით აღნიშნავს, რომ ჩან კაი-შიმ ამერიკას ახალი სუბსიდიები მოსთხოვა.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობა ცხადყოფს, რომ ჯესეპი ეწევა გომინდანელთა ფინანსების „დაწვრილებით რევიზიას". გაზეთ „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამ ენდ სანის" ცნობით, 16 იანვარს ჯესეპმა მოითხოვა მისთვის წარედგინათ ცნობები გომინდანელთა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, მათ შორის არსებული სახსრების რეზერვების, სამხედრო და სხვა მიზნებისათვის ჯგუფის საბიუჯეტო ხარჯების, აგრეთვე კატასტროფულ მდგომარეობაში მყოფი გომინდანელთა ფინანსების შევსების წყაროების შესახებ.

როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ჯესეპი ეთათბირა იან სი-შანს, აგრეთვე ფორმოზაზე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო, საზღვაო და საავიაციო ატაშეებს. როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, ამ თათბირების შინაარსს მეტად საიდუმლოდ ინახავენ.

# ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ

**ᲞᲠᲐᲚᲐ,** 17 იანვარი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო მაინის ფრანკფურტიდან გადმოგვცემს:

„როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, დასავლეთ გერმანიაში არსებობს საიდუმლო ორგანიზაცია „ბრუდერშაფტი", მსგავსი ორგანიზაცია „კონსულისა", რომელიც გერმანიაში არსებობდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. ამ ორგანიზაციის მიზანია დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია და გერმანიის აღმოსავლეთი საზღვრის რევიზია. ორგანიზაციაში იღებენ მხოლოდ თვალსაჩინო სამხედრო სპეციალისტებს და იმ პირებს, რომლებსაც ხელმძღვანელი მდგომარეობა უკავიათ დასავლეთ გერმანიის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ორგანიზაცია აფინანსებს დასავლეთ გერმანიის მძიმე მრეწველობა. ორგანიზაციას მეთაურობს გენერალი ფონ მანტაიფელი. ორგანიზაციის მეორე თვალსაჩინო წევრია მარშალი ფონ რუნდშტედტი, რომელმაც განაცხადა, გერმანიის არმიის აღორძინება უკვე მიმდინარე წელს უნდა მოხდესო".

გენერლებმა გუბერმა და მანტაიფელმა დასავლეთ გერმანიის მარიონეტული სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრ ადენაუერისათვის შეიმუშავეს გერმანიის არმიის აღდგენის გეგმა. გერმანელ გენერალთა ასეთი მოქმედება დაფუძნებულია ამერიკელთა სურვილზე „შეავსონ ცოდნა" ყოფილი ჰიტლერელი სამხედრო სპეციალისტებისა. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრომ ამას წინათ ვაშინგტონს მიიწვია გერმანელ სამხედრო სპეციალისტთა ჯგუფი, რათა ისინი გასცნობოდნენ ჰიტლერული გერმანიის კაპიტულაციის შემდგომი პერიოდის სამხედრო მეცნიერების მიღწევებს. ყველა გერმანელმა სამხედრო სპეციალისტმა, რომლებიც ამერიკელების მიერ რეგისტრირებული არიან ტრიზონიაში, ამას წინათ მიიღო ანკეტა, რომელიც შეიცავს კითხვებს მათი სამხედრო გამოცდილების შესახებ. სავსებით ნათელი არ არის, ფაქტიურად ვინ მეთაურობს ორგანიზაცია „ბრუდერშაფტს". ყველაზე უფრო შესაძლოა, რომ ეს არის გენერალი გალდერი, რომელმაც ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის შეიმუშავა „რაინის ოლქის დაცვის გეგმა". საფიქრებელია, რომ ორგანიზაციას ხელმძღვანელობას უწევს დასავლეთ გერმანიის მძიმე მრეწველობა და შესაძლოა მძიმე მრეწველობის საერთაშორისო გაერთიანებანიც. ამ მხრივ საინტერესოა აღინიშნოს კავშირი დასავლეთ გერმანიისა და შვეციის მრეწველთა შორის.

# ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲡᲗᲐᲜ

**ᲑᲔᲠᲜᲘ.** 17 იანვარი. (საკდესი). დღეს შვეიცარიის ფედერალურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება დე-იურედ ცნოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური მთავრობა.

# ᲡᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲜᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ

**ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ,** 17 იანვარი. (საკდესი). როგორც ადნის სააგენტო გადმოგვცემს, კილის მშრომელები შეუერთდნენ საპროტესტო მოძრაობას ლოზუნგით: „შეწყდეს სამარცხვინო პროცესი". ეს მოძრაობა, რომელიც მთელ გერმანიაში გაიშალა, მიმართულია ინგლისის იუსტიციის თვითნებობის წინააღმდეგ, რომელსაც განზრახული აქვს გაასამართლოს ქვემო საქსონიის მუშათა მოძრაობის 8 ხელმძღვანელი, რომელნიც ილაშქრებდნენ იმის წინააღმდეგ, რომ ინგლისელებს გერმანიის სამშვიდობო მრეწველობის საწარმოთა დემონტაჟი მოეხდინათ.

ნაციზმის მიერ დევნილ პირთა გაერთიანების სამდივნომ გერმანიის ინგლისურ საოკუპაციო ზონაში, აგრეთვე კილის ვერფის „გერმანიავერფტის" საწარმოო საბჭომ მოითხოვეს, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს ამ პირთა სასამართლო დევნა.

8 ბრალდებულის დაცვის კომიტეტები, რომლებიც ჰამბურგის სხვადასხვა რაიონში შეიქმნა, ერთ საერთო ჰამბურგის კომიტეტად გაერთიანდა.

# ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. მიხეილ გიორგის-ძე პერვუხინი დანიშნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და გაათავისუფლა იგი ქიმიური მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. სერგეი მიხეილის-ძე ტიხომიროვი დანიშნა ქიმიური მრეწველობის მინისტრად.

# ᲔᲒᲜᲐᲢᲔ ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲡᲘᲐ

17 იანვარს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში ჩატარდა სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ეგნატე ნინოშვილის დაბადების 90 წლისთავისადმი.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა შალვა რადიანმა.

მოხსენება თემაზე „ეგნატე ნინოშვილი და 90-იანი წლების ქართული ლიტერატურა" გააკეთა უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა სერგი ჭილაიამ.

მომხსენებელმა დაახასიათა მე-19 საუკუნის 90-იანი წლების ლიტერატურული ვითარება და ის სიახლე, რაც ე. ნინოშვილმა შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში, როგორც რევოლუციონერ-დემოკრატმა მწერალმა.

უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ბესო ჟღენტმა წაიკითხა მოხსენება თემაზე „ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა და ქართული საბჭოთა მხატვრული პროზა".

ხალხური შემოქმედებისადმი ეგნატე ნინოშვილის დამოკიდებულების შესახებ მოხსენება წაიკითხა უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ქსენია სიხარულიძემ.

სესიის სხდომას დაესწრნენ მეცნიერი მუშაკები, მწერლები და სტუდენტები.

# ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲞᲝᲔᲢ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ

ამ რამდენიმე ხნის წინათ ქალაქ კიევში უკრაინის ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ შეხვედრა მოუწყო გიორგი ლეონიძეს.

უკრაინის მწერალთა სახელით პოეტ გიორგი ლეონიძეს მიესალმა სტალინური პრემიის ლაურეატი პოეტი მიკოლა ბაჟანი. მან საჩუქრად გადასცა გ. ლეონიძეს უკრაინულ ენაზე თარგმნილი გ. ლეონიძის რჩეული ნაწერების ერთტომეული. პოეტმა აკადემიკოსმა მაქსიმ რილსკიმ წაიკითხა გ. ლეონიძის ლექსების საკუთარი თარგმანები.

გ. ლეონიძეს მიესალმნენ აგრეთვე რუსი პოეტი სტეფანე შჩიპაჩევი და უკრაინელი მწერალი დიმიტრი კოსარიკი.

საპასუხო სიტყვაში გიორგი ლეონიძემ დიდი მადლობა გადაუხადა გულთბილი შეხვედრისათვის და მწერალ დიმიტრი კოსარიკს გადასცა მისი წიგნი — „დავით გურამიშვილი უკრაინაში", გამოცემული ქართულ ენაზე.

# ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲖᲝᲝᲞᲐᲠᲙᲨᲘ

თბილისის ზოოპარკმა ამ დღეებში მიიღო ცხოველთა და ფრინველთა ახალი პარტია: ბეჰემოტი, კაპუცინების, ჰამადრილის და ბაბუინის ჯიშის მაიმუნები, წითელი და ხუჭუჭა თუთიყუშები, ხოხბი, ოქროსფერი და ლამაზი ფარშავანგები, სირაქლემა ემუ და შავი გედები. მიღებულია სხვადასხვა ჯიშის თევზები.

ზოოპარკში ახალმიღებულ ცხოველებსა და ფრინველებს მნახველები დიდი ინტერესით ათვალიერებენ.

---

**ორშაბათს, 23 იანვარს, დღის 12 საათზე, გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია იწვევს ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲡ.**

**თათბირზე საკუთარ კორესპონდენტთა დასწრება სავალდებულოა.**

---

პასუხისმგებელი რედაქტორი
**Ბ. ᲜᲐᲜᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

---


ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

1950 წლის პირველი ნახევრის (იანვარი—ივნისი) ახალი დადგმების რეპერტუარი:

ა. ბუკია

**ᲓᲐᲣᲞᲐᲢᲘᲟᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ**

საბავშვო ოპერა 3 მოქმედებად. ლიბრეტო ლ. ეხაკიასი. დირიჟორი დ. მირცხულავა. დადგმა სტალინური პრემიის ლაურეატის, სახალხო არტისტ ვ. ჭაბუკიანისა. მხატვარი ი. ასკურავა.

ზ. ფალიაშვილი

**ᲚᲐᲢᲐᲕᲠᲐ**

ოპერა 3 მოქმედებად. ლიბრეტო ს. შანშიაშვილისა. დირიჟორი ვ. ფალიაშვილი. დადგმა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მ. კვალიაშვილისა. მხატვარი ი. ასკურავა.

შ. აზმაიფარაშვილი

**ᲮᲔᲕᲘᲡᲑᲔᲠᲘ ᲒᲝᲩᲐ**

ოპერა 4 მოქმედებად. ლიბრეტო: ჭ. გელეიშვილის, შ. ჯაფარიძისა და ვ. პატარაიასი. დირიჟორი სტალინური პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შ. აზმაიფარაშვილი. დადგმა სტალინური პრემიის ლაურეატის რესპუბლიკის სახალხო არტისტ ა. წუწუნავასი. მხატვარი ქ. კუკულაძე.


**მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის** 1949 წლის 28 დეკემბრის, ოქმი № 71, § 11, დადგენილების საფუძველზე თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილება ა. წ. 20 იანვრიდან 25 თებერვლამდე აწარმოებს ქ. თბილისის ფარგლებში ინდივიდუალური საცხოვრებელ სახლების მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთების რეგისტრაციას.

1. სავალდებულო რეგისტრაცია ეხება ყველა იმ მიწის ნაკვეთს, რომელზეც ა. წ. 1 იანვრამდე მშენებლობა არაა დაწყებული ანდა საცხოვრებელი სახლის მშენებლობა არაა დამთავრებული.

2. რეგისტრაციისათვის მშენებლებმა უნდა წარმოადგინონ: ა) ხელშეკრულება მიწის ნაკვეთით სარგებლობის შესახებ, ბ) მიწის ნაკვეთის გენერალური გეგმა, გ) მშენებლობის პროექტი.

3. რეგისტრაცია იწარმოებს თბილისის საბჭოს აღმასკომის კომუნალურ განყოფილებაში (ბერიას მოედანი № 2), მესამე სართული, ოთახი № 80, დილის 9-დან 12 საათამდე და საღამოს 8-დან 10 საათამდე.

4. მშენებლები, რომლებიც აღნიშნულ დროისათვის არ გაატარებენ რეგისტრაციაში, ინდივიდუალური მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთს, კარგავენ ნაკვეთით სარგებლობის უფლებას და ეს ნაკვეთი გადაეცემა სხვა მშენებელს.

---

ნ. სტურუა, მ. იავრიანი, ბ. ჩიკვაიძე, ქ. ჰანიშვილი, შ. ტიტვინიძე, ბ. კაციტაძე, დ. მგელაძე, ნ. ხანზადიანი, ა. ციტოხცევა, ო. ფირცხალავა, ო. კიკვაძე, ა. ვართანოვა, ი. ხიზანიშვილი, მ. ჭინტურიძე, გ. შარიქაძე, ე. აზიროვი, მ. ნებიერიძე, ვ. ქავთარაძე თანაგრძნობას უცხადებენ ა. ს. ანჯაფარიძეს მისი ბიძის **რომანოზ სიმონის-ძე ანჯაფარიძის** გარდაცვალების გამო.

---

ალიკო კვარაცხელია, პარმენ ბაქრაძე, მარო ჭკადუა, ხუტა ადამია თანაგრძნობას უცხადებენ ვარლამ მზარელუას მისი მამის **ერმილეს** გარდაცვალების გამო.

---

დავით, რაჟდენ, ვარდენ, თამარ, გრიშა, შალვა იაშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ზოია და შალვა გიორგაძეებს მათი მამის **რომანოზ სიმონის-ძე ანჯაფარიძის** გარდაცვალების გამო.

---

შვილები მანია, ოლია, ფაცია, დინა, შამშე, სევერიანე, რძლები ოლია, სონია, სიძეები ვ. ფირცხალაიშვილი, ა. კრავეიშვილი, შვილიშვილები გუგული, კუჭკუჭო იუწყებიან **დავით ნიკოს-ძე მალულარიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-I, ლანჩხუთში.

---

საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტი იუწყება საბჭოთა მედიცინის გამოჩენილი მოღვაწის, სოციალისტური შრომის გმირის, აკადემიკოს **იუსტინე ივლიანეს-ძე ჯანელიძის** გარდაცვალებას.

---

შერმადინ სიხარულიძე და დავით ნოსელიძე ოჯახებით იუწყებიან **რომანოზ სიმონის-ძე ანჯაფარიძის** გარდაცვალებას.

---

გიორგი მელაძე და შალვა გვიჩია იუწყებიან **რომანოზ სიმონის-ძე ანჯაფარიძის** გარდაცვალებას.

---

მ. და ვ. მაჭავარიანები, ვლ. აბზიანიძე, გ. მაკარიძე, შ. დარჩია, ნ. ღლონტი, ლ. ბარბაქაძე, დ. ნაცვლიშვილი, კ. ყიფიანი ოჯახებით იუწყებიან **გიორგი ივანეს-ძე ჩომახიას** გარდაცვალებას.

---

გ. კირთაძე, რ. ჭანტურია, ი. შიმესი, ი. გოიშვილი, ტ. ღვაბერიძე, მ. ბახტაძე, ს. გველესიანი თანაგრძნობას უცხადებენ გ. გოცირიძეს მისი ძმისწულის **მერი გოცირიძის** გარდაცვალების გამო.

---

და მატრონა, დისწულები მაშო, თამარ, ანა, მარგარიტა საყვარელიძეები, სიძეები გ. ფხალაძე, ზ. ხუსკივაძე იუწყებიან **სოლომონ ექვთიმეს-ძე წერეთლის** გარდაცვალებას. გამოსვენება 19-I, 3 ს. 30 წ. მელიქიშვილის, 6.

---

ნოე, იასე, ოლღა, ოლია, სონია, გულჩინა ხოფერიები ოჯახით იუწყებიან სიძის **დავით ნიკოს-ძე მალულარიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-I, ლანჩხუთში.

---

ისიდორე, გოგუცა, ტიტე, ლევან და ქეთო ნადირაძეები იუწყებიან **რომანოზ სიმონის-ძე ანჯაფარიძის** გარდაცვალებას.

---

დერმატოლოგიისა და ვენეროლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ექიმ თ. ა. საყვარელიძეს მისი ბიძის **სოლომონ ექვთიმეს-ძე წერეთლის** გარდაცვალების გამო.

---

ო. ეგაძე, მ. ლორთქიფანიძე, კ. წერეთელი, მ. ბერიძე, გ. სულაძე ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ზ. და შ. ანჯაფარიძეებს მათი მამის **რომანოზ სიმონის-ძე ანჯაფარიძის** გარდაცვალების გამო.


რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეე 00408